ნიკ დიარი

ფრანკენშტაინი

მერი შელის რომანის მიხედვით

მ ო ქ მ ე დ ნ ი

ქმნილება

ვიქტორ ფრანკენშტაინი - მეცნიერი

გრეტელი - მეძავი

გუსტავი - მათხოვარი

კლაუსი - მათხოვარი

დე ლეისი - ბრმა მოხუცი

ფელიქსი - მისი ვაჟი

აგათა - ფელიქსის ცოლი

მდედრი ქმნილება

ელიზაბეთ ლავენცა - ვიქტორის საცოლე

ქლერისი - მისი მოახლე

უილიამ ფრანკენშტაინი - ვიქტორის ძმა

ბატონი ფრანკენშტაინი - ვიქტორის მამა

ივანი - ორკნის კუნძულის მაცხოვრებელი

რაბი - მისი ძმისშვილი

პოლიციელი

ინგოლშტადტის მოსახლეობა

ფრანკენშტაინების სახლის მსახურები

ევროპა, 1818 წ.

სცენა პირველი

სიბნელე. გაისმის გულისცემის ხმა.

ბომ-ბუმ.

შემდეგ კიდევ ორჯერ: ბომ-ბუმ, ბომ-ბუმ.

უეცრად თეთრი ნათება იფეთქებს. ვერტიკალური ჩარჩო გამოჩნდება, რომელსაც ადამიანის ფორმის ლანდი დაჰკრავს. ის მოძრაობს. მასში სხვადასხვა ადგილას რეზინის მილებია შეყვანილი.

ბნელდება.

ბომ-ბუმ, ბომ-ბუმ, ბომ-ბუმ.

სინათლის კიდევ ერთი აფეთქება. ქმნილება მილებისგან თავის დაღწევას ცდილობს, მას სისხლი სდის.

ბომ-ბუმ, ბომ-ბუმ.

ისევ ბნელდება.

ნათება: ქმნილებამ ჩარჩო დატოვა. იატაკზე მოკუნტული ზის. დაბნეულია. ვერ საუბრობს, გაუბედავად მოძრაობს. მას კანზე, ნაკერებიდან სისხლი სდის.

ისევ ბნელდება. ახლა გასაგებია, რაც ხდება: როდესაც ის თვალს ახელს, სინათლე ჩნდება.

ამას ქმნილებაც იაზრებს. ხელს მოუხელთებლად თვალთან მიიტანს. ცდილობს თვალი არ დაეხუჭოს. სინათლეა. ხელი ჩამოუვარდება და თვალი ეხუჭება. ბნელდება. ორივე ხელით ცდილობს, რომ თვალები გაახილოს და ახელს კიდეც.

სინათლე ინთება და ასე რჩება.

სცენა მეორე

ქმნილება იატაკზე დახოხავს. ის ბინძურ სხვენშია. ცდილობს თავს ძალა დაატანოს და ადგეს, თან ფეხები უკანკალებს. წონასწორობას ვერ იცავს, რომ ნაბიჯი გადადგას.

ეცემა. გაუნძრევლად წევს. შემდეგ ისევ ცდის.

წინ და უკან ბანცალებს, თან ღრმად ქოშინებს. თითქოს მოყვარული ღმერთის მიერ შექმნილ ადამიანის ნახატს ჰგავს. თითქოს ყველა ნაწილი ადგილზეა, მაგრამ ნერვოლოგიური სისტემა დარღვეულია, კუნთების მოძრაობა უცნაური, სხეული და ტვინი თანხვედრაში არ არის.

ის კანზე სისხლს ლოკავს.

სცენა მესამე

ქმნილება იატაკზე ზის და წყლის პატარა ტაშტით თამაშობს. ხან ღეჭავს, ხანაც ხელს ურტყამს.

ქმნილება ზის და გზრიალასავით ტრიალებს, თან ხელებს იხმარს, რომ უფრო სწრაფად დატრიალდეს. არ ჩერდება.

წამოდგება, თავბრუ დაეხვევა და დაეცემა. იცინის.

მას ნელ-ნელა და ფრთხილად კაცი უახლოვდება: ვიქტორ ფრანკენშტაინი, თითქმის ოცდაათი წლის მეცნიერი. გრძელი მოსასხამი აცვია. ქმნილებას დაჟინებით უყურებს.

ვიქტორი ქმნილებას უახლოვდება, რომელმაც ის ვერ შენიშნა. ვიქტორი დაინტერესებულია, მაგრამ როდესაც მის თვალწინ ჭუჭყიანი და ლორწოვანი არსება გაიშხლართება უმალ უკან დაიხევს.

ქმნილება მობრუნდება და ვიქტორს დაინახავს. ის მისკენ დაიძრება. პირიდან გაურკვეველ სიტყვებს ისვრის. შემზარავად იღიმის. ვიქტორი შოკირებულია. უკან იხევს.

ქმნილება ვიქტორს სწრაფი ხოხვით მისდევს.

ვიქტორი: არა... არ მომიახლოვდე... არა...

ქმნილება ვიქტორის ფეხებთან მიდის, ვიქტორი შეშფოთებულია.

ქმნილება: *(გაურკვეველ ბგერებს გამოსცემს)*

ვიქტორი: გააკეთე რასაც ვამბობ!

ქმნილება ვიქტორს მოეჭიდება, თითქოს ჩახუტება უნდა, ან დახრჩობა - ვინ იცის? ვიქტორი პანიკაშია. მას არაფერი აქვს, რომ თავი დაიცვას. თავისი მხრებიდან მოსასხამს მოიძრობს, ქმნილებას ესვრის და შენობიდან გარბის.

დაბრმავებული ქმნილება ღრიალებს, დაბნეულია და ადგილზე ბრუნავს. თავიდან მოსასხამს მოიძრობს, მაგრამ ვიქტორი წასულია.

სცენა მეოთხე

ღამეა. ქმნილებამ ინგოლშტადტის ქუჩებში გააღწია. --- სმოგითა და იდუმალებით დაფარული ადრეული ინდუსტრიალური ლანდშაფტები.

მანტიაშია გახვეული, ქუდით თავს მალავს. მის შიგნით არაფერი აცვია.

უცნაური ხმები ისმის. --- გამოჭედვის, ქარხნების, ეტლების, ცხოველების. ჰაერი ელექროობითაა გაჟღენთილი; ახალი მექანიზმების პროტოტიპებს ვხედავთ. ქმნილება დაკარგული და დაბნეულია.

მას გამვლელები ხვდებიან, რომლებიც ყურადღებას არ აქცევენ.

ქმნილება დუქანთან ჩაივლის. ქალაქის მაცხოვრებლები მღერიან და ლუდს სვამენ. მას ამ ყველაფრის შეეშინდება და გაიქცევა.

უეცრად, რაღაც ხმა აიძულებს, რომ შეჩერდეს: ქალი ყვირის.

გრეტელი: მიშველეთ! მიშველეთ!

ქმნილება შეჩერდება და უსმენს. გამვლელები დაიფანტნენ. ის მარტოა.

ქმნილება: ჰაჰ?

ვხედავთ გრეტელს, მეძავს, რომელსაც მისი კლიენტი ბნელ მოსახვევში სცემს.

გრეტელი: გთხოვთ, ვინმე დამეხმარეთ!

ქმნილებამ არ იცის რა უპასუხოს. ის მისკენ მიიწევს. გრეტელს თმაზე ექაჩებიან და სცემენ. ქმნილება მათ ნელა უახლოვდება და ინტერესით უყურებს. გრეტელი მას დაინახავს.

- ოჰ, გმადლობთ, ბატონო, გმადლობთ!

კლიენტი მიმოიხედავს და უკან ქმნილებას შეამჩნევს. ქმნილება ორივე ხელს ასწევს და ტრიალს იწყებს. ეს კლიენტს უნებლიედ აშინებს, გრეტელს ხელს კრავს და გაიქცევა. გრეტელი წამოდგება და კაბას დაიფერთხავს. ჯერ ქმნილებისთვის კარგად არ შეუხედავს.

- ერთი კეთილი საქციელი მეორესაც იმსახურებს. ჩემთან წამოხვალ? ღვინო მაქვს, შეგვიძლია დავლიოთ.

მათარადან ღვინოს მოსვამს, მასაც სთავაზობს.

- მომიახლოვდი. რა გქვია? მე გრეტელი ვარ.

ქმნილება მიუახლოვდება, უეცრად მუხლებზე დაეცემა, ცხვირს გრეტელის ვაგინას მიაბჯენს და ძლიერად დაყნოსავს.

- ჰეი, მანდ რას ეთამაშები? ჯერ გეკოცნა მაინც! ღმერთო!

გრეტელი ფეხებთან ჩაიხუტებს ქმნილებას და ქუდს მოხდის. დააპირებს, რომ აკოცოს, მაგრამ შემდეგ მის სახეს დაინახავს. სუნთქვა აღმოხდება, უკან დაიხევს. ქმნი-

ლებას მის გვერდებზე ხელები უდევს და იღიმის. გრეტელი ნელ-ნელა უკან იხევს და ცდილობს, რომ რაც შეიძლება მშვიდად იყოს.

- არ ვიყვირებ, უბრალოდ წავალ. კარგი, ბატონო? უბრალოდ წავალ, კარგი?

გრეტელი გაბრუნდება და გაიქცევა. ქმნილება ამას ვერ შენიშნავს, რადგან ღვინის შესწავლითაა დაკავებული. ყლუპს მოსვამს და გადმოაფურთხებს: საზიზღრობაა.

სცენა მეხუთე

ქმნილება ქალაქის გარეუბანში აღმოჩნდება. ძაღლები ყეფენ. უკან მოიხედავს. მოშორებით ინგოლშტადტის განათებული კოშკები მოჩანს.

შორიახლოს რამდენიმე მაცხოვრებელი ქმნილების მიმართულებით მოდის. ის მათ საეჭვოდ უყურებს.

კაცი: აქ არის!

ისინი მას ქვებს ესვრიან, ქმნილება მობრუნდება და გაიქცევა.

სცენა მეექვსე

ბინდია. სოფლის მხარე. ქმნილებას, მოსასხამში გახვეულს, მიწაზე სძინავს.

გამოეღვიძება, დაამთქნარებს და წამოჯდება.

დგება და გარშემო იხედება. მოსასხამი ჩამოვარდება, ის შიშველია. მზის სხივი ფოთლებს ეთამაშება. ჩიტები მღერიან. ცდილობს მზის სხივებს მოეჭიდოს. იცინის.

ქმნილება: ჰაჰა, ჰაჰა!

ის ადამია ედემის ბაღში --- უცოდველი. ჩიტების სიმღერას უსმენს. ცდილობს ფრთეები გაშალოს.

ჩიტების სიმღერას ბაძავს.

წვიმა წამოვიდა. სითხის ნაზი შეხება სიამოვნებს. წვიმაში ბანაობას იწყებს. მოსასხამით მშრალდება.

სცენა მეშვიდე

ქმნილება ტყეში ხეტიალობს. საჭმელიც მოუგროვდა, დრო და დრო ყველაფერს სინჯავს. ტოტები ნაკლებად მოსწონს. ბალახებს მარტივად ღეჭავს. ყველაზე გემრიელი კენკრაა. ნიკაპზე წვენი ჩამოუვიდა.

სცენა მერვე

ქმნილება ხის ქვეშ ჩამოჯდება. ვერ ისვენებს. მოწყენილია.

თავისი მოსასხამის ჯიბეში გაცვეთილ წიგნაკს პოულობს: ფრანკენშტაინის წიგნაკი. წარწერას რამდენიმე კუთხიდან უყურებს, მაგრამ მაინც გაუგებარია. ისევ ჯიბეში აბრუნებს.

ის დგება და ჩვენ მოგვმართავს: არეულობისა და მწუხარების მონოლოგი, მხოლოდ სიტყვების გარეშე. ღრუტუნისა და ყმუილის მონოლოგი.

ქმნილება: ვურფ-ჰა-ჰა! ვურფ, ვურფ! ჩიკ-ჩიკ. აუა? იაია იაია! იაჰ!

როდესაც სათქმელს დაასრულებს, გადის.

სცენა მეცხრე

ღამეა. ტყიდან მათხოვარი, გუსტავი გამოდის.

გუსტავი: *(ეძახის)* კლაუს? სად ხარ?

კლაუსი, მეორე მათხოვარი ცეცხლთან საქმიანობს.

კლაუსი: აქეთ! მოდი და გათბი.

გუსტავი: მოვდივარ. --- ქვაბში რა არის?

კლაუსი: ცოტა კურდღელია. საიდან მოდიხარ?

გუსტავი: ინგოლშტადტიდან.

კლაუსი: გაგიმართლა?

გუსტავი: არა. ყველა დამფრთხალია. ქალები და ბავშვები სახლებში არიან ჩაკეტილი. კაცები კიდევ, კომბლებით შეიარაღებულან. რა ჯანდაბა ხდება?

კლაუსი: *(მხრებს იჩეჩავს)* ინგოლშტადტში საკუთარი ჩრდილისაც კი ეშინიათ.

იცინიან და ცეცხლზე თბებიან. კლაუსი ქვაბში მოთუშულ ხორცს ურევს.

გუსტავი: ხვალ გავაგრძელებთ. იქნებ პური ვიშოვოთ.

კლაუსი: რა იყო, კურდღელი აღარ გაკმაყოფილებს?

გუსტავი: ადამიანს პური სჭირდება.

კლაუსი: ერთხელ აუგსბურგში ქალს შევხვდი, მისი ქმარი მცხობელი იყო. ჰო, აუგსბურგში დიდხანს გავჩერდი.

გუსტავი: აუგსბურგი კარგი ადგილია.

კლაუსი: ძალიან კარგი, სტუმართმოყვარე.

ცეცხლის შუქზე ქმნილება იხატება, ის მათ უახლოვდება.

ქმნილება: გნაააჰ!

მოწყალების მთხოვნელები უცებ შეხტებიან. ქმნილება მათ უახლოვდება, ისინიც უკან იხევენ.

გუსტავი: ეს რა არის? ეს რა ჯანდაბაა?

კლაუსი: არ ვიცი!

გუსტავი: *(ხელებს იქნევს)* მოშორდი! თავიდან მოგვწყდი!

კლაუსი: ფრთხილად!

ქმნილება: გნააჰ! გნااااჰ!

ქმნილება ცეცხლზე ჩამოკიდებულ საჭმლის ქვაბზე მიუთითებს.

კლაუსი: გავიქცეთ! ჩქარა!

გუსტავი: მაგრამ საჭმელი...

კლაუსი: შეეშვი, გუსტავ! გაიქეცი!

გუსტავი: ურჩხულო! მოგვშორდი! თავიდან მოგვწყდი!

კლაუსი: ნახე, რა მდგომარეობაშია!

გუსტავი: გავიქცეთ!

ისინი გაიქცევიან. ქმნილება ცდილობს, რომ ქვაბი აიღოს, მაგრამ იმდენად ცხელია, რომ ხელი ეწვის. ტკვილისგან წამოიყვირებს. საჭმელი ძალიან უნდა. ხის კოვზს აღმოაჩენს. მიხვდება, რომ მისი დახმარებით საკვებს პირში მარტივად მოათავსებს. ჭამს. ახლა ცეცხლის გამოკვლევის დროა. სასიამოვნოა, მაგრამ როდესაც ხელს ადებს - აღარ.

დაინახავს, რომ მოწყალების მთხოვნელებს ზურგჩანთები დარჩათ. ნივთებს ამოყრის --- დახეული ტანსაცმელი, თოკის გორგალი, ჩიბუხი, ბიბლია. ეს ნივთები მისთვის არაფერს ნიშნავს.

ცეცხლთან წვება და იძინებს.

სცენა მეათე

დილაა. ქმნილებას ორი მათხოვრის ყვირილის ხმაზე ეღვიძება. ისინი მისკენ მირბიან და თან ჯოხს უქნევენ.

კლაუსი: აქ არის! დაიჭირე!

ქმნილებას თავს ესხმიან და სასტიკად უსწორდებიან.

ქმნილება: ااااღღჭჭ!

გუსტავი: ახლა ნახავ, როგორ უნდა ჩვენი შეშინება!

კლაუსი: ჩვენი ვახშამი შეჭამე!

გუსტავი: აქედან გაეთრიე შე მახინჯო ნაბიჭვარო!

კლაუსი: და აღარასოდეს დაბრუნდე!

მათ ქმნილება გააგდეს. თავიანთი ნივთები აიღეს და იქაურობას სწრაფად გაეცალნენ.

სცენა მეთერთმეტე

შუაგულ ტყეში ქმნილება ტკივილისაგან ყმუის. ის გაბრაზებული და დაბნეულია. ადგილზე ბრუნავს და ტანჯვისაგან ყვირის.

სცენა მეთორმეტე

დე ლეისის ქოხი. ფელიქსი, მისი ვაჟი, ბრმა დე ლეისის სკამთან აცილებს, ხოლო მისი რძალი, აგათა საჭმელს მაგიდაზე დებს.

აგათა: შენს საჭმელს მაგიდაზე ვტოვებ. რძეც აქ არის.

დე ლეისი: გმადლობ, ძვირფასო. რა მზრუნველი ხარ.

ფელიქსი: სამუშაოდ მივდივართ, მამა. მოსაღამოვდება თუ არა, დავრბუნდებით.

აგათა: *(დე ლეისის)* იმედი მაქვს, რომ ჩვენს აქ არ ყოფნაში კარგად მოიქცევი.

დე ლეისი: *(ჩაეცინება)* ვეცდები. --- ზედა მინდვრების გაწმენდა მოახერხეთ?

ფელიქსი: არა. პროგრესი ნელა მიდის.

აგათა: ბევრად რთულია, ვიდრე გვეგონა, *(მხნედ)* მაგრამ ბოლოს მაინც გავიმარჯვებთ!

დე ლეისი: რამე თუ არ გავზარდეთ, შიმშილით დავიხოცებით.

აგათა: როდესაც ზუსტად გვეცოდინება რას ვაკეთებთ, ტემპსაც მოვუმატებთ. ერთ-ორ წელიწადში კარგად ვიქნებით. ფერმერები გავხდებით!

დე ლეისი: *(იცინის)* ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ფერმერი გავხდებოდი...!

ფელიქსი: *(აგათას)* მზად ხარ?

აგათა: სიცივისა და ტალახისთვის? ერთი სული მაქვს! (*იცინის და დე ლეისის ნაზად ჰკოცნის.)* ნახვამდის, ბერიკაცო!

ფელიქსი: დროებით, მამა.

დე ლეისი: დროებით, ფელიქს. მის გვერდით ბედნიერი კაცი ხარ!

ფელიქსი: ვიცი.

აგათა: დროებით!

აგათა და ფელიქსი ქოხიდან გადიან. დე ლეისი უკნიდან გიტარას იღებს. მუხლზე გაიდებს და დაკვრას იწყებს.

ფელიქსი და აგათა გარეთ გამოდიან. ქმნილება მათ შორიდან უყურებს. ახლა, მოსასხამს შიგნით დახეული ტანსაცმელი აცვია. დაჟინებით უცქერს.

ფელიქსი: ყოველთვის ასე ხალისიანად ყოფნას როგორ ახერხებ?

აგათა: სხვა რა გზა მაქვს? ცხოვრებამ აქ მოგვიყვანა და შესაბამისად ეს უნდა ვაკეთოთ. წამოდი!

ფელიქსი: აგათა. იცი რა მშვენიერი ხარ? გეფიცები, სამუდამოდ მეყვარები.

აგათა: შენთვისვე აჯობებს.

ფელიქსი: *(კოცნის და თმაზე ეფერება).* ვაჟს როდის მაჩუქებ, მშვენიერო მეუღლევ?

აგათა: *(იცინის და შორდება).* წამოდი! ბევრი სამუშაო გვაქვს!

ფელიქსი და აგათა ხელჩაკიდებულები გადიან. ქმნილებამ მათი წასვლა დაინახა. ის ქოხში ფრთხილად იპარება. შესასვლელში, რომელიც გიტარის ხმითაა გავსებული ჩუმად მიაბიჯებს. დე ლეისის ხმა ესმის. ჩერდება.

დე ლეისი: თუ გინდა საჭმელი წაიღე. სხვას ღირებულს აქ ვერაფერს ნახავ. ოჰ, წიგნებიც არის, მგონი. ბოლო-ბოლო, წიგნები მაინც დამიტოვეს.

დე ლეისი გიტარას კედელს აყუდებს. ქმნილება თითქოს დარწმუნდა, რომ საფრთხე არ ემუქრება.

- ზიანის მოყენების მიზეზი არ გაქვს. ვერაფერს გავნებ. ვერ გხედავ. არავის მხარეზე ვიბრძვი. მიდი, მოქალაქე, აიღე საჭმელი.

ქმნილება: ჰნაარგჰ?

დე ლეისი მაგიდაზე მიუთითებს. ქმნილება პირში საჭმელს იტენის.

დე ლეისი: ლაპარაკი შეგიძლია? ალბათ არა. სასირცხვილო არაფერია. შემომხედე - მე ბრმა ვარ. ნაღმი აფეთქდა და აი - მეც დავბრმავდი. ახლა ჩემი ვაჟი მივლის. როდესაც პატარები არიან, შენ უვლი, ხოლო როდესაც დიდები - ისინი. ასე ხდება, მაგრამ, რაც ჯარისკაცები შემოვიდნენ, რთული დრო დაგვიდგა. ადამიანი ძმური სიყვარულით მაშინაა სავსე, როდესაც დათრგუნული არ არის, მაგრამ რთულ დროსთან ერთად... სწორედ მაშინ იგებ, ვინ არის შენი ნამდვილი მეგობარი, არა?

ქმნილებამ ჭამა დაასრულა და ახლა ხელში გიტარა აიღო. მოუხელთებლად ცდილობს, რომ დაუკრას, მაგრამ, უბრალოდ, საშინელ ხმას გამოსცემს. სიმებს უმოწყალოდ ურახუნებს და უკმაყოფილებისგან აღმოხდება:

ქმნილება: უაااااჰ! თავიდან მომწყდი!

დე ლეისი: მაპატიეთ?

ქმნილება: თავიდან მომწყდი!

ქმნილება დე ლეისის გიტარას კალთაში უგდებს.

დე ლეისი: ოჰ, მუსიკა გინდა? გინდა, რომ დავუკრა?

ქმნილება: მმ... მუუ...

დე ლეისი: მუსიკა. ეს ღვთის საჩუქარია. მიდი, თქვი. მუსიკა.

ქმნილება: მუუ... სიკა...

დე ლეისი: ნახე, სიმებს ასე უნდა ჩამოკრა...

დე ლეისი გიტარას უკრავს, ქმნილება უსმენს.

სცენა მეცამეტე

აგათა და ფელიქსი ზედა მინდვრებს ათვალიერებენ. ფელიქსს მხარზე თოხი აქვს გადებული.

აგათა: ქვებს შეხედე. მთელი მინდორი სავსეა.

ფელიქსი: ვწუხვარ, აგათა. უნდა გავწმინდოთ. სანამ არ გასუფთავდება, მოხვნას აზრი არ აქვს.

აგათა: კარგი - რაც მალე დავიწყებთ...

იღიმის და ფელიქსს კოცნის. ფელიქსი გადის, აგათა მუშაობას იწყებს. ღიღინებს. ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს უთვალთვალებენ, მაგრამ, როდესაც მოიხედავს, ვერავის ნახავს.
აგათა მინდორში მუშაობას აგრძელებს, ჩვენ კი ვბრუნდებით...

ქოხი. ქმნილება და დე ლეისი მაგიდასთან სხედან. წინ ფურცლები და ნახშირის ფანქრები უდევთ. დე ლეისი მარცვალს ხაზავს, ქმნილება კი ცდილობს მიბაძოს.

დე ლეისი: სა...

ქმნილება: სა...

დე ლეისი: მო...

ქმნილება: მო...

დე ლეისი: თხე.

ქმნილება: თხე.

დე ლეისი ფანქარს დებს.

დე ლეისი: სამო...

ქმნილება: სამო...

დე ლეისი: ...თხე. სამოთხე. დაწერე.

ქმნილება წერს.

ქმნილება: სამოთხე. მე მოსწონს. კარგი სიტყვა.

დე ლეისი ქმნილების სახისკენ გაიწევს, რადგან შეეხოს. ქმნილება თავს არიდებს.

დე ლეისი: ნუ გეშინია. მე ასე ვხედავ. გთხოვ...

დე ლეისი ქმნილების თავს ეხება. ქმნილება ჯერ დაიძაბება, მაგრამ შემდეგ მოეშვება.

ქმნილება: გარრააარგჰ, ეჰეჰ.

დე ლეისი: ღმერთო, ომი გამოგივლია. რა დაგემართა? საიდან ხარ? დედაშენი და მამაშენი სად არიან?

ქმნილებამ ინტერესი დაკარგა და ბედნიერად ხატვა განაგრძო.

ქმნილება: სა-მო-თხე. ჰნააჰ!

დე ლეისი ამოიოხრებს. ისინი ქოხში რჩებიან, ჩვენ კი ვბრუნდებით...

სცენა მეთხუთმეტე

მინდვრები. აგათა აღტაცებულია.

აგათა: ფელიქს! ფელიქს!

ფელიქსი: *(მისკენ მირბის)* რა მოხდა?

აგათა: შეხედე, შეხედე!

ფელიქსი: *(მინდორს თვალს მოავლებს და ამოიოხრებს.)* მაგრამ ეს...

აგათა: დაუჯერებელია! სასწაულია!

ფელიქსი: ან მაგია.

აგათა: ყველა ქვა გაქრა. ყველა!

ფელიქსი: შეგვიძლია მიწა მოვხნათ.

აგათა: შეგვიძლია დავთესოთ.

ფელიქსი: გუთნის წამოღებაში დამეხმარე.

გადიან, ჩვენ კი ვბრუნდებით...

ქოხი. რამდენიმე კვირის შემდეგ. დე ლეისი და ქმნილება.

ქმნილება ფანჯრიდან დანახული ფიფქების პატარა კორიანტელით ინტერესდება.

ქმნილება: თეთრი! რა? თეთრი! რა?

დე ლეისი: სად?

ქმნილება: ცაში!

დე ლეისი: ეს თოვლია. არც ისე საინტერესოა - ბუნებრივი მოვლენაა, მეტი არაფერი. კარგი, გემუდარები, ხტუნვა შეწყვიტე. კონცეტრაციაა საჭირო.

ქმნილება: თოვლი! თოვლი!

დე ლეისი: დაჯექი! სამუშაო გვაქვს.

ქმნილება წიგნის პატარა შეკვრასთან ჯდება, ბუზღუნებს.

- გმადლობ. დღეს გვაქვს: პირველყოფილი ცოდვა.

ქმნილება: *(ნახშირით წერს)* პირველყოფილი ცოდვა.

დე ლეისი: არსებობს ორი თეორია. პირველის მიხედვით, ჩვენ არასრულფასოვნები ვიბადებით და მაღალი ძალის ჩარევას ვსაჭიროებთ - ღვთიური ძალის, რათა დაბადების ცოდვა დავამარცხოთ, ხოლო მეორე თეორიის თანახმად, რომელსაც მეც ვიზიარებ, სანამ ჩვენ მუცელში ვცხოვრობთ, უცოდველები ვართ. დედის კალთაში მძინარე ბავშვი უბიწოა. სიბოროტე კი საზოგადოების ნაშიერია. ღმერთი არ განსაზღვრავს იმას, თუ როგორი იქნება ადამიანი - ცუდი თუ კარგი.

ქმნილება: მე არ აკეთებ ცუდ რაღაცებს.

დე ლეისი: ვიცი, რომ ცუდად არ იქცევი. კარგი გული გაქვს, ვიცი.

ქმნილება: მე რატომ შია?

დე ლეისი: რა?

ქმნილება: მე რატომ შია? საჭმელი რატომ არა?

დე ლეისი: ნახევარი საჭმელი ხომ შენ მოგეცი.

ქმნილება: მაინც შია.

დე ლეისი: შიმშილი ადამიანური მდგომარეობაა.

ქმნილება: *(თითს წიგნს ურტყამს)* მეფე არა! იმპერატორი არა!

დე ლეისი: *(ეცინება)* სწრაფად ითვისებ.

ქმნილება: მე მეფე რატომ არა?

დე ლეისი: არ ვიცი. იქნებ ხარ.

ქმნილება: დიახ! მეფე! ჩემი სახელია?

დე ლეისი: არ ვიცი.

ქმნილება: მეფე რა?

დე ლეისი: შენი სახელი არასოდეს გითქვამს.

ქმნილება: გნააარჰჰ! არასოდეს გაუგია! არ იცი!

დე ლეისი: საბრალო, დაკარგულო არსება.

ქმნილება: დაკარგული არსება.

დე ლეისი: მაგრამ ლაპარაკი ხომ გასწავლე! კითხვა! იმედი არსებობს. ვინ იცის, რას მიაღწევ?

ქმნილება: *(თავს აქნევს)* ვძულვარ!

დე ლეისი: ვის?

ქმნილება: კაცებს. ქალებს. ბავშვებს. ძაღლებს.

დე ლეისი: არა, არ სძულხარ.

ქმნილება: ქვებს ისვრის. მცემს. ყველგან! ყველგან!

დე ლეისი: გლეხები უმეცრები არიან. ისინი, ჩვენგან განხსვავებით, წიგნებს არ კითხულობენ. ეს, უბრალოდ, ოჯახისა და სახლის დაცვის ინსტინქტია. ალბათ მათ - ცოტათი ეშინიათ შენი.

ქმნილება: ჩემი ცუდად გამოვიყურები?

დე ლეისი ჩუმადაა

- არა, როგორც აგათა.

დე ლეისი: აგათა?

ქმნილება: ლამაზი ცოლი!

დე ლეისი: ჰო, აგათა მშვენიერია, უდავოდ. - ფელიქსიც კეთილია. ნება მომეცი, რომ გაგაცნო.

ქმნილება: არა!

დე ლეისი: რატომ არა?

ქმნილება: ვძულვარ!

დე ლეისი: არ შეძულდები! მათ არასოდეს შეხვედრილხარ! როდესაც სახლში დაბრუნდებიან, დარჩი და მიესალმე.

ქმნილება მაღლა ახტება და გარეთ გაიქცევა.

ქმნილება: თოვლი! თოვლი! თოვლი!

გადის. ჩვენ კი ვბრუნდებით...

სცენა მეჩვიდმეტე

მინდვრები. აგათა და ფელიქსი მეორე მხრიდან შემოდიან.

ფელიქსი: აგათა - ნახე, რა ვიპოვე!

აგათა: მეც რაღაც ვიპოვე!

ფელიქსს დაჩეხილი შეშის უზარმაზარი შეკვრა მოაქვს.

ფელიქსი: დაჩეხილია - ცეცხლისთვის მზად არის! მინდორში შემოსასვლელ ბილიკთან ეგდო.

აგათას ცალ ხელში ორი მოკლული ხოხობი, ხოლო მეორეში ორი ბოცვერი უჭირავს.

აგათა: ესენი ღუმელთან დამხვდა - ბოცვრები უკვე გამოშიგნულია! ფრინველს ნაკვალევიც არ ეტყობა.

ფელიქსი: კიმაგრამ, როგორ დაიჭირეს?

აგათა: რა საინტერესოა! ამას ვინ აკეთებს, ფელიქს?

ფელიქსი: ვიღაცას ჩვენი დახმარება სურს.

აგათა: მაგრამ ვის? ამას ვინ იზამდა? აქ ხომ უცხოები ვართ.

ფელიქსი: *(ჩურჩულით)* ჯადოსნური ადამიანები.

აგათა: ჯადოსნური ადამიანები?

ფელიქსი: პატარა ხალხი! ელფები და ფერიები! *(ეძახის)* გამარჯობა! აქ ხართ?

აგათა: *(ეძახის)* არის აქ ვინმე?

ვხედავთ, რომ ქმნილება იმალება და მათ უთვალთვალებს.

ფელიქსი: თუ აქ ხარ, გამოდი! გვინდა, რომ მადლობა გადაგიხადოთ! გამოდი!

ქმნილება თავს ძლივს იკავებს. თითქმის გამოვიდა სამალავიდან, მაგრამ რაღაც მაინც უკან ხევს.

- არ გამოვლენ.
აგათა: *(იცინის)* იქ არავინაა, სულელო. მარტო ჩვენ ვართ. ხედავ? რადგანაც ყოველთვის ერთად ვართ და ასე ძალიან გვიყვარს ერთმანეთი - ჯადოსნური სურვილებიც ხდება.

ერთმანეთს კოცნიან და გადიან. ქმნილება თავისთვის, ბედნიერად იღიმის.

სცენა მეთვრამეტე

რამდენიმე თვის შემდეგ. ქმნილება დე ლეისის ხელს უწვდის. ტყეში მისეირნობენ. საღამოა, მზე ჩადის. თითო-ოროლა ჩიტი შემორჩა, ცაზე უზარმაზარი მთვარე ამოსულა.

დე ლეისი: საღამოობით უკვე სითბოა. მალე გაზაფხულდება. სასიამოვნო ამბავია.

ქმნილება: რატომ?

დე ლეისი: როგორ გითხრა - გაზაფხული, ხომ იცი არა? ჰა ჰა!

ქმნილება: გაზაფხული გაბედნიერებს? რატომ?

დე ლეისი: იმიტომ, რომ კიდევ ცოცხლები ვართ.

ქმნილება: რატომ? კიდევ რამდენ ხანს ვიცოცხლებთ?

დე ლეისი: მოდი, ახლა სახლში დავბრუნდეთ. უკვე ღამდება.

ქმნილება: საიდან იცი? შენ ხომ თვალები არ გაქვს.

დე ლეისი: ჩიტის ხმა გესმის? ეს ბულბულია. მისი სიმღერა იმას ნიშნავს, რომ ღამდება.

ქმნილება: ჩიტი აღამებს? შეუძლებელია.

დე ლეისი: არა, მეგობარო, არა. შენი მილტონი აღარ გახსოვს? „ბულბული ფხიზლობს...“

ქმნილება: ბულბული ფხიზლობს! *(კითხულობს)*

„და სიყვარულის საგალობელს აჟღერებს ღამით.

ზეცა აენთო მოცქრიალე მნათობთა ჯარით;

ჯერ ჰესპერუსი წინამძღოლობს ვარსკვლავთა კრებულს,

მაგრამ აღმოხდა დიდებული მნათობელიც,

ღრუბელთა შორის გამოსცურა ცის დედოფალმა,

მოიხსნა ბადე და ღამეულ სიბნელეს მყისვე

გადააფარა ვერცხლისფერი წამოსასხამი.“

დე ლეისი: *(მოწონებით)* ედემის ბაღში ღამე ჩამოწვა. მთვარეს ხედავ?

ქმნილება: იქ! იქ არის!

დე ლეისი: აღმიწერე.

ქმნილება: მარტოსული.

დე ლეისი: კარგი სიტყვაა. კარგი.

ქმნილება: და სევდიანი, ჩემსავით.

დე ლეისი: სევდიანი, რატომ?

ქმნილება: იმიტომ, რომ მარტოსულია.

დე ლეისი: შენ რატომ ხარ სევდიანი?

ქმნილება: იმიტომ, რომ, რაც უფრო მეტს ვკითხულობ და რაც უფრო მეტს ვსწავლობ, ვხვდები, რამდენი რამ არ ვიცი. იდეები გონებაში სეტყვასავით მეჯახებიან. კითხვები მაქვს, პასუხები კი - არა. ვინ ვარ? საიდან ვარ? ოჯახი მყავს?

დე ლეისი: შენ ჩვენ გყავართ. ჩემი ვაჟი არსად გაგაგდებს, გპირდები. გამომყევი და მიესალმე.

ქმნილება: არა!

დე ლეისი: რატომ არა? მარტივი თხოვნაა. რა არის შენი...

უეცრად ქმნილება დე ლეისის ხელს კრავს და გვერდიდან შორდება.

ქმნილება: აღარასდროს მთხოვო.

დე ლეისი შეგარბაცდება და წონასწორობას შეინარჩუნებს, მაგრამ მის ადგილსამყოფელს ვერ ხვდება. ქმნილება დისტანციას იჭერს.

- პლუტარქეს ვკითხულობდი. იმპერატორთა ცხოვრებას.

დე ლეისი: ო, დიახ. ანტიკური რომის დამაარსებლები. ხალხი, რომელმაც დაგვანახა, რომ მსოფლიოს გამოსწორება შესაძლებელია.

ქმნილება: ხალხი ქალაქში, ერთ გუნდად რატომ ცხოვრობს? ქალაქი ვერ წარმომიდგენია. რომი ვერ წარმომიდგენია! რიცხვები ზედმეტად დიდია.

დე ლეისი: ერთ გუნდად იმიტომ ვიკრებით, რომ ერთმანეთს დავეხმაროთ და სიკეთე ვაკეთოთ.

ქმნილება: მაგრამ შემდეგ ერთმანეთს ხოცავთ!

დე ლეისი: ჰო, შეუსაბამოა.

ქმნილება რამდენჯერმე ადგილზე დატრიალდება.

ქმნილება: არ მიყვარს შეუსაბამობები. ასე რატომ უნდა იყოს?

დე ლეისი: არ ვიცი. როდესაც გაიზრდები, ისწავლი, რომ...

ქმნილება: *(ბრაზდება)* დე ლეისი! ყოველთვის, როცა ამბობ, რომ არ იცი, სინამდვილეში იცი! რატომ ხდება ისე, რომ შენ ყველაფერს ხვდები, მე კი - ვერაფერს! ის, რაზეც მე ამდენი დრო უნდა დავხარჯო, შენთვის წამის მეასედებში ხდება. მე ვარ ის, ვინც კარს მიღმა დგას. შიგნით ყველაფერს ხედავს, მაგრამ შესვლას ვერ ბედავს.

დე ლეისი: მაინც რა არის ის, რაც ასე გაშინებს?

ქმნილება: ყველაფერი! ყველაფერი! რატომ ცხოვრობ უღრან ტყეში მდგარ ქოხში და არა დიდ ქალაქში?

დე ლეისი: იმიტომ, რომ ღარიბი ვარ.

ქმნილება: რატომ?

დე ლეისი: როგორც კი ჯარი შემოვიდა, ჩემი უნივერსიტეტი მთლიანად გაძარცვეს. იძულებულები გავხდით, რომ ქალაქიდან წამოვსულიყავით.

ქმნილება: მე ღარიბი ვარ?

დე ლეისი: დიახ. თუმცა ერთ დღესაც იპოვი ვინმეს, ვინც მთელი არსებობის მანძილზე უმდიდრეს ადამიანად გაქცევს.

ქმნილება: ვიპოვი?

დე ლეისი: დიახ! კარგი კაცი ამას იმსახურებს. შენ კარგი კაცი ხარ. ვინც არ უნდა იყო, ვინმე ოდესმე აუცილებლად შეგიყვარებს.

ქმნილება: სიყვარული რა არის?

სცენა მეცხრამეტე

სიზმარი: არგენტინის დაბლობები. ცხელი, ლურჯი ცა და ქორფა ბალახი. მდედრ ქმნილებას, იგივე აგებულებისას, როგორიც მამრია, მაგრამ ფიზიკურად გაცილებით ლამაზს, იქვე, ბალახზე, ბუდეში სძინავს.

ქმნილება შემოდის და მის გვერდით სიყვარულით ჩაიმუხლებს.

ქმნილება:

„გაიღვიძე, ჩემო მეუღლევ,

ჩემო სიცოცხლევ, სულ ბოლო დროს აღმოჩენილო,

უკანასკნელო და ძვირფასო ცის საჩუქარო,

ჩემთვის მარადჟამ მშვენიერო, გამოიღვიძე.“

ის იღვიძებს. ქმნილება მას ფეხზე წამოაყენებს. მუსიკა უკრავს და მდედრი ცეკვავს. ასეთი ცეკვა ჯერ არასდროს არავის უნახავს.

სცენა მეოცე

ზაფხული. დე ლეისის ქოხი. ის და ქმნილება მაგიდას უსხედან.

ქმნილებას ფრანკენშტაინის წიგნაკი აქვს გადაშლილი.

ქმნილება: შენობიდან გამოვიქეცი. ბნელოდა. დამფრთხალი ვიყავი.

დე ლეისი: სულ ეს არის, რაც გახსოვს?

ქმნილება: არ ვიცი, როგორ გავიხსენო.

დე ლეისი: მაგრამ შენ მახსოვრობა გაქვს, მეხსიერება...

ქმნილება: ჰო, მაგრამ როგორ გავიხსენო? ეს რა პროცესია?

დე ლეისი: არ ვიცი, როგორ კეთდება!

ქმნილება: მაშინ მე როგორ გავაკეთო?

დე ლეისი: არ ვიცი! შენობიდან გამოიქეცი? ინგოლშტადტიდან? მაგრამ წიგნაკის ავტორი წერს რომ ის...

ქმნილება: ...ჟენევიდანაა. ამბობს, რომ ჟენევიდანაა. *(პირველ გვერდზე კითხულობს)*

'ვიქტორ ფრანკენშტაინი, ჟენევის მოქალაქე...'

დე ლეისი: ფრანკენშტაინი? *(თავს აქნევს)*

ქმნილება: სად არის ჟენევა?

დე ლეისი: სამხრეთით და დასავლეთით, ბევრი დღის სავალზეა. კითხვა განაგრძე.

ქმნილება: 'ვამზადებთ ჩარჩოს ექსპერიმენტისთვის. ამას თავისი ნაქსოვი ბოჭკოებით, კუნთებითა და სისხლ-ძარღვებით წარმოუდგენელ სირთულესთან მივყავართ. ჩემივე მსგავსი არსების შექმნა მცდელობად ღირს? თუ აჯობებს, რომ გაცილებით პრიმიტიული ფორმა მივცე?'

დე ლეისი: 'ჩემივე მსგავსი არსება'? რას გულისხმობს? კაცს? ქალს?

ქმნილება: დე ლეისი... ძილში რაღაცას ვხედავ!

დე ლეისი: ამას სიზმარი ჰქვია. რა დაინახე?

ქმნილება: ვიღაც! გრძელი თმა ჰქონდა... და მისი თვალები...

დე ლეისი: კარგი სიზმარი იყო?

ქმნილება: სასიამოვნო იყო. ეს კარგია?

დე ლეისი: კარგი სიზმარი იმას არ ნიშნავს, რომ ზნეობრივადაც კარგი იყო, მაგრამ ცუდ სიზმარს ნამდვილად ვერ დავარქმევთ.

ქმნილება: *(შეწუხებული)* ცუდი სიზმარიც არსებობს?

ქოხს ფელიქსი და აგათა უახლოვდებიან. აგათა ფეხმძიმედაა.

აგათა: *(იძახის)* გამარჯობა!

ფელიქსი: მამა!

დე ლეისი: ფელიქსი და აგათა მოვიდნენ. დარჩი და გაიცანი.

ქმნილება: არა, არ შემიძლია!

დე ლეისი: ისინი სხვებს არ ჰგვანან, ეს კარგი ხალხია! არ ვიცი, როგორ გამოიყურები, მეგობარო, მაგრამ მე მჯერა, რომ სამყაროში მეგობრობისა და სიყვარულის ადგილი ჯერ კიდევ არსებობს. შენი ცუდი წინათგრძნობის გადალახვა შესაძლებელია! დარჩი! მე ვისაუბრებ შენ მაგივრად!

ქმნილება წიგნაკს ჯიბეში ჩაიჩურთავს. ის გასაქცევ გზას ეძებს.

ფელიქსი: *(გარედან)* დავბრუნდით!

აგათა: *(გარედან)* დღეს დავასრულეთ!

დე ლეისი: აქ ვარ! *(ქმნილებას)* ხელი ჩამჭიდე.

ქმნილება: უნდა გავიქცე!

დე ლეისი: არა, დამიჯერე! მენდე! აქ დარჩი - დარჩი!

ქმნილება: შემიძულებენ!

დე ლეისი: არა, გპირდები, არა!

ახლა ქმნილება მახეშია მომწყვდეული. დე ლეისის მისი ხელი უჭირავს. ფელიქსი პირველი შემოდის. ხელში მინდორში დაკრეფილი მოსავალი უჭირავს.

ფელიქსი: მამა!

დე ლეისი: ეს ჩემი მეგობარია, ის...

ფელიქსს ქმნილების დანახვაზე ენა ჩაუვარდა. თავისი ბოსტნეული ძირს დაყარა.

ქმნილება: დღემშვიდობისა, ბატონო.

თითქოს შეულოცესო, ადგილიდან არ იძვრიან. შემდეგ აგათა შემოდის. ქმნილების დანახვაზე უმალ შეჰკივლებს.

აგათა: *(ყვირის)* ეს რა არის?

ფელიქსი: სწრაფად, გამოეცალე! შენ! აქედან გაეთრიე!

ქმნილება გაქცევას ცდილობს, მაგრამ დე ლეისის ის მჭიდროდ უჭირავს.

ქმნილება: გნაااااჰ!

ფელიქსი: ხელი გაუშვი, ეშმაკო!

დე ლეისი: დარჩი!

აგათა: ფელიქს!

ფელიქსი შარვლიდან ქამარს გამოიძრობს.

ფელიქსი: მამაჩემს მოშორდი!

დე ლეისი: არა, არა... ყველაფერი რიგზეა!

აგათა: ააჰ, ეს რა საზიზღრობაა!

ფელიქსი: გაეთრიე! გაეთრიე! სწრაფად!

ფელიქსი ქმნილებას შოლტავს, რომელიც ყოველ დარტყმაზე იკუნტება.

აგათა: გააგდე!

დე ლეისი: არა! ფელიქს! ის...

აგათა: სცემე! სცემე! მოკალი!

ქმნილება: *(დე ლეისის)* შენ შემპირდი!

ქმნილება გააძევეს. ის გარბის. დე ლეისი იატაკზე აგდია.

აგათა: საშინელი! საშინელი მხეცი!.. ხომ არ დაშავდი?

ფელიქსი: *(დე ლეისის წამოდგომაში ეხმარება)* ახლა უსაფრთხოდ ხარ... მარტო ვეღარ დაგტოვებთ...

დე ლეისი: *(გაბრაზებით)* მას შიოდა! არაფერს მიშავებდა! თანაგრძნობა არ გაგაჩნია?

ფელიქსი: ეს ურჩხული იყო!

დე ლეისი: არც ერთი ადამიანი არ არის ურჩხული!

აგათა: ეს ადამიანი არ იყო!

დე ლეისი: ეს რა ჩავიდინე? ღმერთო ჩემო, ეს რა ჩავიდინე?

სცენა ოცდამეერთე

ქმნილება შემოდის და თან გახურებული ნაკვერჩხალი შემოაქვს. ის ომის ცეკვას ცეკვავს. სიბრაზე მას გაურკვევლობაში აგდებს.

ქმნილება: უგჰ გრრ უგჰ! უაიააარგჰ! უაიააარგჰ!

ის დე ლეისის ქოხს უახლოვდება.

- რას აკეთებდნენ, როდესაც ამას გრძნობდნენ? გმირები, რომაელები... რას აკეთებდნენ? ვიცი. შეთქმულებას აწყობდნენ. ისინი შურს იძიებდნენ.

ქოხს ცეცხლს უკიდებს. უმალ ცეცხლის კედელი აღიმართება.

- ჩემი შურისძიებით ყველაფერს გავწმენდ!

დე ლეისის, აგათას და ფელიქსს ცეცხლი შთანთქავს. ისინი დახმარებას ითხოვენ. ქმნილება უკან იხევს. ქოხის მაცხოვრებლები იწვიან.

ტბის სანაპირო. მოშორებით თოვლით დაფარული მთები მოჩანს. რამდენიმე ქალი შემორბის. ესენი ოც წელს გადაცილებული ახალგაზრდა გოგონა, ელიზაბეთ ლავენცა, მისი მოახლე, ქლერისი და სხვა სახლის მოახლეები არიან.

ელიზაბეთი: დაიმალეთ! დაიმალეთ!

ისინი გარბიან და კისკისით იმალებიან. როდესაც ყველა გავა, შემოდის უილიამი, პატარა ბიჭი. მას მეზღვაურის კოსტიუმი აცვია და ქუდი ახურავს. ხელები თვალზე აქვს აფარებული, თან ბრუნავს და ითვლის.

უილიამი: ოცდაოთხი, ოცდახუთი, ოცდაექვსი... ყველანი მოემზადეთ! ოცდაშვიდი, ოცდარვა, ოცდაცხრა, ოცდახრა-ნახევარი... ოცდაათი! ვიხილები და მოვდივარ! *(შებარბაცდება)* ვაი, თავბრუ დამეხვა. *(იცინის)* იმედი მაქვს, კარგად იმალებით!

უილიამის უკან ქმნილება შემოდის.

ქმნილება: გამარჯობა, ბიჭუნა.

უილიამი: გამარჯობა, ბატონო.

უილიამი შემობრუნებას დააპირებს.

ქმნილება: არა! არ შემობრუნდე.

უილიამი: რა?

ქმნილება: არ შემობრუნდე-მეთქი! გთხოვ!

უილიამი: კარგი, ბატონო.

ქმნილება: სად ვარ?

უილიამი: ჟენევის შემოგარენში.

ქმნილება: ჟენევა?

უილიამი: დიახ, ბატონო. ტბა - ტბას ვერ ხედავთ? აქ არის!

ქმნილება ტბას გახედავს და მოეწონება.

ქმნილება: ტბა. როგორ ბრწყინავს! - შორი გზიდან მოვდივარ. სიარული ღამით მიწევს. მდინარეში ვთევზაობ. შენ თევზაობ ხოლმე?

უილიამი: ო, დიახ!

ქმნილება: რას იჭერ? სატყუარად რას იყენებ?

უილიამი: მეგობრებთან უნდა წავიდე. ვთამაშობთ!

ქმნილება უილიამს უკნიდან ეპარება და მაგრად დაიჭერს.

ქმნილება: გამოიცანი, ვინ ვარ.

უილიამი: ოჯახის მეგობარი ხართ?

ქმნილება: დიახ.

უილიამი: მაშინ მოსამართლე უნდა იყოთ, ან, ალბათ, მინისტრი.

ქმნილება: მოსამართლე ვარ.

უილიამი შემობრუნებას ეცდება.

- არ შემომხედო!

უილიამი: რა?

ქმნილება: არ შემომხედო-მეთქი!

უილიამი: კარგი.

ქმნილება: რა გქვია?

უილიამი: უილიამი. თქვენ რა გქვიათ, ბატონო?

ქმნილება: უილიამ, შეგიძლია მემეგობრო. სალაშქროდ ერთად წავიდოდით. აი, მაგალითად, იმ მთებს დავლაშქრავდით.

უილიამი: მონბლანს დავლაშქრავდით?

ქმნილება: დიახ!

უილიამი: მაგარია!

ქმნილება: წავიდეთ, მეგობარო!

უილიამი: არა, უფლება არ მაქვს. ბოდიში. მამა გამიბრაზდება.

ქმნილება: მამა დაივიწყე. ჩემთან წამოდი, მონბლანი დავლაშქროთ.

უილიამი: სიამოვნებით, მაგრამ არ შემიძლია.

ქმნილება: ჩვენ მეგობრები უნდა ვიყოთ. ყველას ჰყავს მეგობარი.

უილიამი: მამა უნდა ვიპოვო! გამიშვი! გამიშვი!

უილიამი უძალიანდება.

ქმნილება: გაგიშვებ, თუ ჩემს შეკითხვას უპასუხებ.

უილიამი: რა გნებავთ?

ქმნილება: ადამიანს ვეძებ, გვარად ფრანკენშტაინს. მასზე რამე გსმენია?

უილიამი: ეგ ჩემი გვარია!

ქმნილება: შენ? ფრანკენშტაინი?

მოულოდნელობისგან ქმნილება უილიამს ხელს გაუშვებს. უილიამი შემობრუნდება და ყვირის.

უილიამი: ააა! მახინჯო! თავი დამანებე!

უილიამი გაქცევას ცდილობს, ქმნილება დაეწევა და დაიჭერს.

ქმნილება: ვიქტორ ფრანკენშტაინი? ის მამაშენია?

უილიამი: არა! ვიქტორი ჩემი ძმაა!

ქმნილება: სად არის?

უილიამი: სახლშია, ის ყოველთვის სახლშია...

ქმნილება: შეიძლება ვნახო?

უილიამი: არა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება!

ქმნილება: ჩვენ ხომ მეგობრები ვართ, უილიამ. მთების დალაშქვრა ხომ გინდოდა. ყველაზე მაღალ მწვერვალზე ავალთ, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ვიქტორთან წამიყვან.

უილიამი: არა! შენ საზიზღარი ხარ!

ქმნილება: ვინ არის? რას საქმიანობს?

უილიამი: მეცნიერია, გენიოსია!

ქმნილება: ინგოლშტადტში ნამყოფია?

უილიამი: დიახ, იქ სწავლობდა. სახლში ელიზაბეთთან დასაქორწინებლად ჩამოვიდა, მაგრამ სულელია, თავის ოთახს არასდროს ტოვებს! ყველაფერს აკლდება!

ქმნილება: მას ჩემთან შენ მოიყვან. წამოდი.

უილიამი: არა! არა!

ქმნილება: წამოდი.

უილიამი მას ეწინააღმდეგება. ქმნილება უილიამს ხელში აიტაცებს.

უილიამი: მამაჩემი მოსამართლეა! ამისთვის დაისჯები. ციხეში ჩაგსვამენ! მიშველეთ!

ქმნილება: შეწყვიტე, ბიჭუნა.

ქმნილება მას პირს ამოუქოლავს და გეზს მთებისაკენ აიღებს.

სცენა ოცდამესამე

იგივე ადგილი, მოგვიანებით. უკვე ღამეა. შემოდიან ფრანკენშტაინის სახლის მსახურები და ძებნას იწყებენ. თან ანთებული ჩირაღდნები უჭირავთ.

მსახურები: უილიამ! უილიამ!

მათ ბატონი ფრანკენშტაინი, ელიზაბეთი და ქლერისი უერთდება.

ბნ. ფრანკენშტაინი: აქ თამაშობდით?

ელიზაბეთი: *(ცრემლნარევი ხმით)* დიახ, ვიმალებოდით. ის ჩვენს საძებნელად წამოვიდა და...

ბნ. ფრანკენშტაინი: სად იმალებოდით?

ელიზაბეთი: ქვევით, ნავსაყუდელთან.

ბნ. ფრანკენშტაინი: არაფერი დაგინახავთ?

ელიზაბეთი: არა, არაფერი!

ბნ. ფრანკენშტაინი: არც გაგიგონიათ?

ელიზაბეთი: თითქოს გვეძახდა, მაგრამ მეგონა, რომ ეს უბრალოდ თამაშის ნაწილი იყო. ოჰ, ნეტავ რა შეემთხვა?

შემოდის ვიქტორი. ცუდ ფორმაშია - დაუვარცხნელი და მოსაწესრიგებელია.

ვიქტორი: უილიამ! უილიამ! - ჯგუფებად დავიშალოთ! შენ და შენ - ჩემთან წამოდით!

ბნ. ფრანკენშტაინი: უკვე ეძებენ. ყველა ეძებს. შეგიძლია სახლში წახვიდე.

ვიქტორი: მაგრამ უილიამი არსად ჩანს! დიდი დრო გავიდა?

ბნ. ფრანკენშტაინი: შუადღით დაიკარგა, მაგრამ შენ შეგიძლია სახლში წახვიდე.

ვიქტორი: ვალდებული ვარ დავეხმარო!

ბნ. ფრანკენშტაინი: ვიქტორ, შენი აღელვებული მდგომარეობით ვერავის დაეხმარები...

ვიქტორი: ის ჩემი ძმაა! ნება მომეცი, რომ ძებნაში დავეხმარო! ეს ჩემი მოვალეობაა!

ბნ. ფრანკენშტაინი: *(ამოიოხრებს)* კარგი, დარჩი, მაგრამ გთხოვ - ჩემთან ახლოს იყავი.

ვიქტორი: რატომ?

მსახურები: აქეთ! ბატონო ფრანკენშტაინ! შეხედეთ!

მათ უილიამის მეზღვაურის ქუდი იპოვეს. ყველა მისკენ მიდის.

ბნ. ფრანკენშტაინი: ეს უილიამის ქუდია.

ვიქტორი: აქ რას აკეთებდა?

ელიზაბეთი: დამალობანას ვთამაშობდით.

ვიქტორი: ყურადღებას საერთოდ არ აქცევდი?

ელიზაბეთი: ვემალებოდი! ყურადღება როგორ უნდა მიმექცია?

ვიქტორი: კი მაგრამ, სად იყავი?

ელიზაბეთი: თავად სად იყავი? ალბათ, გამოკეტილ კაბინეტში.

ვიქტორი: უილიამი არა ჩემი, არამედ შენი პასუხისმგებლობა იყო!

ელიზაბეთი: მაშინ გამახსენე, შენი პასუხისმგებლობა... რა არის?

ბნ. ფრანკენშტაინი: საკმარისია! სოფლის მაცხოვრებლებმა რაღაც შენიშნეს... ქლერის?

ქლერისი ნაბიჯს გადმოდგამს.

ქლერისი: ამბობენ, რომ მთებში მხეცი დაინახეს, ბატონო.

ვიქტორი: მხეცი? რომელი მხეცი?

მსახური 1: ურჩხული! ფიჭვის ხესავით მაღალი!

მსახური 2: ამბობენ, რომ ლურჯი ცეცხლით სუნთქავს!

ბნ. ფრანკენშტაინი: ფიქრობენ, რომ უილიამი ამ ურჩხულმა წაიყვანა?

ქლერისი: ვიღაცამ ნამდვილად წაიყვანა. ვერსად ვპოულობთ.

მსახური 1: არავინ იცის, იმ მთებში რა არის.

ქლერისი: მე ვიცი, რაც არის. თოვლი და ყინული. უფრო მეტი თოვლი და ყინულია. სულ ეს არის.

ბნ. ფრანკენშტაინი: გაიშალეთ! ძებნა განაგრძეთ! შესაძლოა, ახლოს იყოს.

ძებნას განაგრძობენ. ვიქტორი და ელიზაბეთი მარტო რჩებიან.

ვიქტორი: ურჩხულში რას გულისხმობენ?

ელიზაბეთი: სავარაუდოდ, რამე ცხოველი დაინახეს.

ვიქტორი: ცხოველი არ უთქვამთ. ურჩხულიო, რაღაც არსებაო...

ელიზაბეთი: ხალხური ზღაპრებია!

ვიქტორი: ზუსტად ვინ დაინახა?

ელიზაბეთი: არ ვიცი! ამას მნიშვნელობა აქვს?

ვიქტორი: რა საშინელებაა.

ელიზაბეთი: ვიქტორ, ცუდად გამოიყურები. რამდენი კვირაა არ მინახავხარ. ყოველთვის ოთახში ხარ ჩაკეტილი.

ვიქტორი: ჩემი ნახვა რაში გჭირდება?

ელიზაბეთი: ჩვენ ხომ უნდა ვიქორწინოთ!

ვიქტორი: ო, და ამის გამო...

ელიზაბეთი: ...ხანდახან უნდა დამელაპარაკო, დიახ!

ვიქტორი: და თუ სათქმელი არაფერი მაქვს? მაშინ რა უნდა ვქნა?

მსახურები ბატონ ფრანკენშტაინს ეძახიან.

მსახურები: ბატონო! აქ მოდით! ნახეთ! ტბაში!

ყველა ნაპირისკენ გარბის.

ბნ. ფრანკენშტაინი: რა მოხდა?

მსახური 1: ღია ნავია! მაგრამ შეხედეთ - დინების საწინააღმდეგოდ იხრება!

ელიზაბეთი: შეუძლებელია!

მსახური 2: ქარის საწინააღმდეგოდ!

ელიზაბეთი: ვინმე ექაჩება?

მსახური 2: არა, არავინაა.

ვიქტორი: ნავში არის ვინმე?

ბნ. ფრანკენშტაინი: ნაპირზე ამოიყვანეთ!

მსახურები ტბაში შეცვივდებიან და პატარა ნავს ნაპირზე ამოიყვანენ. ყველა ნავისკენ გარბის. ვიქტორი პირველი შეხტება.

ვიქტორი: უილიამ!

ქლერისი: ბავშვია?

ელიზაბეთი: ო, გემუდარები, არა!

ვიქტორი ნავიდან უილიამის უსიცოცხლო სხეულს ამოიყვანს. გვამს ჯიბიდან ვიქტორის წიგნაკიდან ამოხეული ფურცლები სცვივა, რომელზეც დიაგრამები და განტოლებებია ასახული.

ვიქტორი: მკვდარია, მამა.

ბნ. ფრანკენშტაინი: ის არის?

ქლერისი: სამოთხის ანგელოზებო! პატარა უილიამი! ღმერთმა გაანათლოს მისი სული!

ბნ. ფრანკენშტაინი: ჩემი ბიჭი. მომიყვანე ჩემი ბიჭი.

ვიქტორი უილიამს მამას გადასცემს. ქლერისი ლოცულობს. ელიზაბეთი კი წიგნაკის ფურცლებს აკვირდება.

ელიზაბეთი: ეს რა ფურცლებია? ვიქტორ? შენს ნაწერს ჰგავს.

ბნ. ფრანკენშტაინი: მაჩვენე! *(ვიქტორს)* ეს შენი ფურცლებია?

ელიზაბეთი: ვიქტორ?

ბნ. ფრანკენშტაინი: ეს დიაგრამებია, განტოლებები. საუნივერსიტეტო ნაშრომები! ეს აქ საიდან გაჩნდა?

ვიქტორი: როგორც ჩანს... ჩემი წიგნაკიდანაა...

ელიზაბეთი: შენი წიგნაკი სად არის?

ვიქტორი: არ ვიცი! დავკარგე! არ ვიცი, სად არის!

ვიქტორი მოულოდნელად გაბრუნდება და გაიქცევა. ელიზაბეთი ცდილობს გაეკიდოს.

ბნ. ფრანკენშტაინი: გაუშვი, ელიზაბეთ. წავიდეს.

ქლერისი: *(მსახურების გვერდით)* ზოგი ამბობს დაჯილდოვებულიაო. მე კი მგონია - შეშლილია.

ბნ. ფრანკენშტაინი: ზარებს ჩამოჰკარით! ჩემი ვაჟი მკვდარია!

უილიამის სხეული გააქვს და გადის. ეკლესიაში ზარების ხმა გაისმის.

სცენა ოცდამეოთხე

ვიქტორი ადის მონბლანზე. უნაყოფო თოვლიანი მიწები მაღალ ალპებში.

ვიქტორი: აქ ხარ? სად ხარ? აქ ხარ?

მის მოსასხამს მოზუზუნე ქარი აფრიალებს. თან სქელი ჯოხი აქვს.

- სად ხარ? გამოაჩინე თავი, ურჩხულო!

ყინულების დინჯ მოძრაობასა და დეფორმაციას დიდი ამოსუნთქვის ხმა აქვს.

მოულოდნელად, თოვლიანი ქარბუქიდან ქმნილება გამოჩნდება. ყინულზე მყარად დგას. ვიქტორისკენ დიდ ნახტომს აკეთებს.

- ღმერთო ჩემო! კუნთების კოორდინაცია - ხელი, თვალი - იდეალური წონასწორობა! ნაკერებიც შეხორცებულა! სიმპათიური ვერ შევქმენი, მაგრამ ძალა და გრაცია უდავოდ გააჩნია.

ვიქტორი ქმნილებას წრეს არტყამს, ის კი - თვალს ადევნებს.

- რამხელა მიღწევაა! უნაკლო მეცნიერული გამარჯვება! ღმერთო, რა გადარეული ღამე იყო - სიცხე, ოფლი, გადასხმები, მომენტი, როდესაც დავინახე, რომ ჩემკენ მოხოხავდა და მე... და მე...

ქმნილება: თქვენ გაიქეცით.

ვიქტორი: რა?

ქმნილება: თქვენ მიმატოვეთ.

ვიქტორი: *(გაოგნებული)* ეს ლაპარაკობს!

ქმნილება: დიახ, ფრანკენშტაინ. ეს ლაპარაკობს.

ვიქტორი: ჩემი გვარი იცი?

ქმნილება ვიქტორს გაცვეთილ წიგნაკს გაუწვდის.

- ჩემი წიგნაკი!

ქმნილება: რატომ მიმატოვეთ?

ვიქტორი: შეშინებული ვიყავი - ეს რა ჩავიდინე?

ქმნილება: ააწყეთ ადამიანი, უბოძეთ სიცოცხლე და...

ვიქტორი: ახლა კი მოვედი, რომ წავართვა...

ქმნილება: *(ჩაიცინებს)* ოჰ, მართლა?

ვიქტორი: შენს მოსაკლავად მოვედი!

ქმნილება: მოსაკლავად? მაშინ რისთვის შემქმენით?

ვიქტორი: იმის დასამტკიცებლად, რომ შემეძლო!

ქმნილება: ე.ი. ჩემი სიცოცხლე თქვენთვის სპორტული თამაშია?

ვიქტორი: მეცნიერების გულისთვის! შენ ჩემი უდიდესი ექსპერიმენტი იყავი, მაგრამ ექსპერიმენტი, რომელიც ცუდად წარიმართა. ექსპერიმენტი, რომელიც უნდა მორჩეს.

ვიქტორი მისკენ გაიქცევა და ჯოხით თავს დაესხმება, მაგრამ ქმნილება მას მარდად განაიარაღებს და მიწაზე დასცემს.

ქმნილება: დამშვიდდით, გენიოსო! თხოვნა მაქვს.

ვიქტორი: წყეულიმც იყავ, შენ მე ვერაფერს მთხოვ!

ქმნილება: ოჰ, როგორ ვერა! მომისმინეთ. ეს თქვენი მოვალეობაა.

ვიქტორი: მკვლელის მოვალე არასოდეს ვიქნები!

ქმნილება: თუკი მკვლელი ვარ, ასეთად თქვენ შემქმენით.

ვიქტორი: შენ მომიკალი ძმა! ეს შენ ჩაიდინე და არა მე! ვწყევლი იმ დღეს, როდესაც ფილტვებში ჰაერი პირველად ჩაისუნთქე. მას მერე სიბნელეში ვცხოვრობ.

ქმნილება:

„ნუთუ ამ მხარემ, ამ ჰაერმა, ამ ნიადაგმა

უნდა შესცვალოს ზეცის წმიდა სასუფეველი;

ნუთუ ამ პირქუშ სიბნელეზე უნდა გავცვალოთ

ცის ელვარება“, - თქვა გვემულმა არქანგელოზმა.

ვიქტორი: *(გაოცებული)* ეგ „დაკარგული სამოთხეა“! „დაკარგული სამოთხე“ წაიკითხე?

ქმნილება: და მომეწონა.

ვიქტორი: რატომ? წარმოიდგინე, რომ ადამი ხარ?

ქმნილება: მე ადამი უნდა ვიყო. ღმერთი ადამით ამაყობდა, მაგრამ სატანა არის ის, ვინც მე მომწონს. სატანასავით განდევნილი ვარ. არასწორი არაფერი ჩამიდენია. ხოლო, როდესაც სხვების კმაყოფილებას ვხედავ, ყელში ნაღველის ამოსვლას ვგრძნობ, რომელიც გემოთი სატანის ნაღველს ემსგავსება.

ვიქტორი: მაგრამ ეს შესანიშნავია! შენ განათლებული ხარ და მეხსიერება გაქვს!

ქმნილება: დიახ, მაქვს და მახსოვს, რომ ჩემზე ვირთხასავით ნადირობდნენ. ადამიანების დასახლებებს გავურბოდი, თავშესაფარს კი მხოლოდ ტყეში თუ ვიპოვიდი. მახსოვს, როგორ მცემდნენ და მშოლტავდნენ. მე კი კეთილი ვიყავი, მართლა მინდოდა, რომ კეთილი ვყოფილიყავი!

ვიქტორი: მაშინ უილიამი რატომ მოკალი?

ქმნილება: თქვენი ნახვა მსურდა და თქვენც მოხვედით. სხვაგვარად მოხვიდოდით? ნახევარი ინგოლშტადტი რომ ამომეხოცა, მოხვიდოდით?

ვიქტორი: *(დამორჩილებული)* ნუთუ სიკეთე არავინ გიჩვენა?

ქმნილება: იყო ერთი მოხუცი. მან ბევრი რამ მასწავლა, მაგრამ უსინათლო იყო, ჩემი სახე არასდროს უნახავს. არ იცოდა ასე რომ გამოვიყურებოდი. ერთი წლის შემდეგ, რაც მან სეზონთა ცვლა აღმიწერა და მეც გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი ერთი მეორეს მიყოლებით ვნახე... როდესაც ერთი წლის გავხდი, მითხრა, რომ ისინი შინ მიმიღებდნენ. მისი ვაჟი და იმის ცოლი. ლამაზი ცოლი.

ვიქტორი: რა მოხდა?

ქმნილება: თქვენ იცით, რაც მოხდა.

ვიქტორი: ო, ღმერთო, ვხვდები.

ქმნილება: გადავწვი. ცეცხლი წავუკიდე.

ვიქტორი: სინანულს არ გრძნობ?

ქმნილება: სინანულს? როდესაც სოფელში მივაბიჯებდი, ბავშვები ქვებს მესროდნენ. საჭმელს რომ ვემუდარებოდი, ისინი ძაღლებს მომიქსევდნენ ხოლმე. რა ფუნქცია აქვს სინანულს?

ვიქტორი: მე ვწუხვარ, მე...

ქმნილება: წუხხართ? თქვენ წუხხართ? ეს თქვენ გამოიწვიეთ! ეს თქვენი სამყაროა!

- ფრანკენშტაინ. აი, ჩემი თხოვნა. მინდა, რომ საზოგადოების წევრი ვიყო, მაგრამ მე ადამიანი არ გამეკარება. და თუ ვინმე გამეკარება, ისევ ჩემივე მსგავსი - ვინმე ასეთივე დეფორმირებული და საზარელი სახეობისა - ის გამიგებდა, ის...

ვიქტორი: რა? მე...

ქმნილება: მე ქალი მინდა. ჩემსავით აგებული.

ვიქტორი: ქალი?

ქმნილება: მხოლოდ თქვენ შეგწევთ ძალა, რომ...

ვიქტორი: შევქმნა კიდევ ერთი საშინელება - კიდევ ერთი ურჩხული? მე ამას არ ვიზამ, მე...

ქმნილება: ეს ჩემი უფლებაა!

ვიქტორი: შენ უფლებები არ გაქვს. შენ მონა ხარ. გინდა, რომ ქალი შეგიქმნა და ერთად ჩაიდინოთ ბოროტება? არა, ამას არ გავაკეთებ. რამდენიც გინდა მაწამე - ამაზე არასდროს დაგთანხმდები.

ქმნილება: მე თქვენ არ გაწამებთ. ჩვენ ვიმსჯელებთ. ასე არ უნდა მოვიქცეთ? დიალოგი გავაბათ.

ვიქტორი: მკვლელებთან დიალოგი არ იქნება!

ქმნილება: რომ შეგეძლოთ, აქამდე თავად მომკლავდით! რა? ახლახანს სცადეთ! გამოდის, რომ თქვენთვის მკვლელობა გამართლებულია, ჩემთვის კი - არა.

ვიქტორი: შენთან არ ვიკამათებ! ღმერთო ჩემო, შუა მთაში ვარ და დებატები მაქვს გამართული ამ... ამ...

ქმნილება: ცოცხალ არსებასთან!

ვიქტორი: არარაობასთან. ბინძური გროვის არარაობასთან. მე ვარ შენი შემოქმედი და უკეთესია პატივისცემა გამოიჩინო...

ქმნილება: შემოქმედს მოვალეობები აქვს - თქვენ მე სასიკვდილოდ მიმატოვეთ! მე მონა არ ვარ. მე თავისუფალი ვარ. თუ ჩემს თხოვნაზე უარს იტყვით, მტრად გამოგაცხადებთ და თქვენი განადგურებისთვის თავს არ დავზოგავ. მხოლოდ ამაზე ვიზრუნებ და იქამდე არ მოვისვენებ, სანამ თქვენს გულს არ გავსრეს. *(პაუზა)* ბოდიშს გიხდით. მსჯელობა მქონდა განზრახული. მე ლოგიკის უნარი გამაჩნია. არ მგონია, რომ რასაც გთხოვთ, ზღვარგადასულია. საპირისპირო სქესის ქმნილება,

მაგრამ ისეთივე შემზარავი, როგორიც მე ვარ. თუ თანახმა ხართ, სამუდამოდ გადავიკარგებით. სამხრეთ ამერიკის ყველაზე მიყრუებულ ადგილებში წავალთ და იქ ჩვენს პატარა სამოთხეს მოვაწყობთ. არც ერთი ადამიანი აღარ გვნახავს კვლავ. რას იტყვით?

ვიქტორი: გაოცებული ვარ. რამდენი გისწავლია და რა მალე!

ქმნილება: ჩემით ამაყობთ?

ვიქტორი: ვამაყობ? არა.

ქმნილება: რატომ არა?

ვიქტორი: იმიტომ, რომ შენი ლოგიკა დეფექტურია.

ქმნილება: დეფექტური?

ვიქტორი: შენ ამბობ, რომ საზღვარგარეთ წახვალ და გაქრები. ამასთან ერთად კი გსურს, რომ საზოგადოებაში იყო მიღებული. გგონია ეს განდეგილობა არ დაგღლის? არ ეცდები, რომ ხალხში დაბრუნდე და მათი სიძულვილის გვერდით კიდევ ერთხელ იცხოვრო? ჰო, სწორედ ეს არის ის, რასაც გადაეყრები - სიძულვილი. მერე კი, როდესაც გაველურებული იქნები... იქნებით, უკვე ორნი, განადგურებაც თქვენგან - ორმაგი. ამას ხელი რატომ უნდა შევუწყო?

ქმნილება: იმიტომ, რომ მარტო ვარ! ამხანაგი ყველა არსებას ჰყავს. ყველა ფრინველს ცაში! თქვენც კი უნდა იქორწინოთ! ვითომ რატომ უნდა მეთქვას უარი იმ კომფორტზე, რაც თქვენთვის დასაშვებია? წუთის წინ ჩემი ინტელექტით აღტაცებული იყავით, ახლა კი - გული გაგიქვავდათ. გთხოვთ, ასეთი არათანმიმდევრული ნუ იქნებით, ძალიან ვღიზიანდები. მე მხოლოდ სიყვარულის შესაძლებლობას გთხოვთ.

ვიქტორი: სიყვარული?

ქმნილება: დიახ!

ვიქტორი: ფიქრობ, რომ ეს შესაძლებელია?

ქმნილება: დიახ!

ვიქტორი: შენთვის?

ქმნილება: კარგი კაცი ამას იმსახურებს.

ვიქტორი: შენ კარგი კაცი ხარ?

ქმნილება: ვიქნებოდი! ჰო, ვიქნებოდი!

ვიქტორი: ვწუხვარ, რომ მარტო ხარ. უბრალოდ ვერ გავითვალისწინე...

ქმნილება: რომ შეიძლება გრძნობები მქონოდა?

ვიქტორი: შენ განტოლება იყავი. თეორემა. ვაღიარებ, თავსატეხი, რომელიც უნდა ამომეხსნა, მაგრამ თუ შენ... გონიერი ხარ... და თუ გაემგზავრები...

ქმნილება: ფრანკენშტაინ, თუ თქვენ მეგობარს მიბოძებთ, ევროპას სამუდამოდ დავტოვებ. ჰაერში გავუჩინარდები. მეტი აღარაფერი განადგურდება. მე წავალ.

პაუზა. ვიქტორი ფიქრობს.

ვიქტორი: პირობას იძლევი, რომ მშვიდობიანი იქნები?

ქმნილება: დიახ, გემუდარებით, დამიჯერეთ!

ვიქტორი: თუ სიტყვას მაძლევ, რომ აქაურობას სამუდამოდ გაეცლები და არასდროს დაბრუნდები... არასდროს! რომ დაიფიცებდე და დაიფიცებდე სერიოზულად...

ქმნილება: ვფიცავ ლურჯი ფერის ცას, თეთრი ფერის თოვლს, სიყვარულის ცეცხლს, რომელიც ჩემს გულში ანთია. თუკი თხოვნას შემისრულებთ, აღარასდროს დამინახავთ, სანამ ჩვენ გარშემო სამყარო ბრუნავს.

ვიქტორი: ფიქრობ, რომ ბრუნავს?

ქმნილება: რა თქმა უნდა.

ვიქტორი: უნდა გაიგო... ეს რთული სამუშაოა...

ქმნილება: ამის გაკეთება მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ, მარტო თქვენ გაქვთ უნარი.

ვიქტორი: მარტო მე... მთელ მსოფლიოში... და არავინაა ისეთი, ვისაც შემიძლია, რომ საიდუმლო გავუზიარო! - გაიხედე იქ, ქვევით. *(მთის ქვეშ მიუთითებს)* ხედავ მათ? პატარა ხალხი პატარა ცხოვრებით.

ქმნილება: *(აღფრთოვანებული)* პატარა სახლი! პატარა ხალხი!

ვიქტორი: ჯუჯები. მე სხვა ვარ.

ქმნილება: თქვენ მეფე ხართ! მეცნიერების მეფე! შექმენით ჩემთვის ქალი. გთხოვთ! პატარძალი.

ვიქტორი: პატარძალი მშვენიერი უნდა იყოს. ლამაზი თვალები და ბრწყინვალე თმა უნდა ჰქონდეს. რაც შეიძლება მომაჯადოებელი უნდა იყოს და არა - შემზარავი.

ქმნილება: ოჰ, დიახ!

ვიქტორი: ჩემს ძველ შეცდომებს აღარ გავიმეორებ. მხოლოდ წინ უნდა წავიდეთ და არასოდეს - უკან!

ქმნილება: შემოქმედო, გევედრებით, თქვენი ჯადოსნური საქმიანობა კიდევ ერთხელ განაახლეთ!

ვიქტორი: *(ფიქრობს)* ქალი... ერთხელაც არ განმიხილავს ეს საკითხი. რამეში არის სხვაობა? რაში?.. ანატომიაში, რა საკვირველია, მაგრამ არის კიდევ რამე? რა?.. ტემპერამენტი? იუმორი? უნარები?

ქმნილება: *(ბედნიერად)* არ ვიცი!

ვიქტორი: რაში არიან ქალები ყოჩაღები?

ქმნილება: არ ვიცი!

ვიქტორი ყურს არ უგდებს

ვიქტორი: ღმერთო ჩემო, აი, მესმის გამოწვევა! თუ შევძლებდი, რომ რაღაც უმანკო შემექმნა... ისეთი რამ, რაც შემიძლია, რომ გამოფენაზე ვაჩვენო. დემონი კი არა... ქალღმერთი!

ქმნილება: ქალღმერთი.

ვიქტორი: დიახ! თუ მას ვერ გაარჩევდი... თუ ის იქნებოდა იდეალური! წარმოიდგინე! - შეიძლება ამის გამო დამგმონ, მაგრამ ვცდი.

ქმნილება: თხოვნას შემისრულებთ?

ვიქტორი: შეგისრულებ. თუ სიტყვას მაძლევ, რომ შემდგომ თავს დაგვანებებ.

ქმნილება: ასეც მოვიქცევი! თუ სიტყვას მაძლევთ, რომ თხოვნას შემისრულებთ.

ვიქტორი ხელს გაუწვდის

- ეს რისთვისაა?

ვიქტორი: ჩამომართვი.

ქმნილება: ჩამოგართვათ?

ვიქტორი: ასე გარიგებას დავდებთ. აიღე ჩემი ხელი.

ქმნილება ვიქტორის ხელს ფრთხილად ჩაეჭიდება და ჩამოართმევს.

ქმნილება: გმადლობთ! გმადლობთ! ჩემი ოცნებები ახდება! წადით შინ და თქვენი მუშაობა დაუყოვნებლივ დაიწყეთ!

ვიქტორი: შინ? ამას შინ ვერ ვიზამ!

ქმნილება: რატომ? შინ რა ხდება?

ვიქტორი: ეს მამაჩემის სახლში გავაკეთო? არა!

ქმნილება: მაშინ იქ წადით, სადაც საჭიროა. მე თვალყურს გადევნებთ!

ქმნილება ციცაბო ყინულზე თხასავით მარდად აცოცდება. ვიქტორი მას მზერით გააცილებს. მყინვარიდან კიდევ ერთხელ გაისმის დიდი ამოსუნთქვის ხმა.

სცენა მცდამეხუთე

ფრანკენშტაინების სახლი, ჟენევა. სამგლოვიაროდ შავებში გამოწყობილ ქლერისს ბატონ ფრანკენშტაინთან ლანგრით წერილი შემოაქვს.

ქლერისი: ფოსტიდანაა, ბატონო.

ბნ. ფრანკენშტაინი: *(აიღებს, სევდიანია)* თანაგრძნობის წერილები.

ქლერისი: უფალი გვაძლევს და უფალი გვართმევს ყოველივეს.

ბნ. ფრანკენშტაინი: ვიცი, ქლერის. ვიცი.

ოთახში ვიქტორი შემოვარდება. შეხვედრიდან სწორედ ახლა დაბრუნდა, ჯერ კიდევ მოსასხამი და ჩექმები აცვია. ხელში გაცვეთილი წიგნაკი უჭირავს.

ვიქტორი: *(ქლერისს)* გადი.

ქლერისი გადის.

ბნ. ფრანკენშტაინი: ვიქტორ! სად იყავი?

ვიქტორი: მთებში, ყინულის ზღვაში.

ბნ. ფრანკენშტაინი: მანდ სიკვდილი სახლობს. თავგადასავლების საძიებლად ცუდი დროა.

ვიქტორი: მამა - აუცილებლად უნდა გავემგზავრო. დღეს მივდივარ.

ბნ. ფრანკენშტაინი: დღეს! კი მაგრამ, უილიამი?

ვიქტორი: არ წამოვა. ინგლისში მივდივარ. ნახვამდის.

ბნ. ფრანკენშტაინი: ინგლისში? რატომ?

ვიქტორი: საქმე მაქვს.

ბნ. ფრანკენშტაინი: რა საქმე? ბოლო ერთი წლის მანძილზე თითიც არ გაგიტოკებია! განა რა საქმე გამოგიჩნდა ისეთი, რომ ინგლისში გარბიხარ?

ვიქტორი: მისმინე, არ ველოდები, რომ გამიგებ, მაგრამ...

ბნ. ფრანკენშტაინი: სწორედ ასეა, არ მესმის! ვერ დავიჯერებ, რომ შენი სამსახური უფრო მნიშვნელოვანია. ასე რომ, გიბრძანებ - დაკრძალვამდე აქ დარჩე.

ვიქტორი: დამორჩილება განზრახული არ მაქვს. უნდა წავიდე.

ბნ. ფრანკენშტაინი: შენი ქორწილი?

ვიქტორი: გადადება მოგვიწევს.

ბნ. ფრანკენშტაინი: მაგრამ ელიზაბეთი...

ვიქტორი: ელიზაბეთი მოიცდის! ექვსი წელი ინგოლშტადტში ვიყავი. ცოტას კიდევ მოითმენს.

ბნ. ფრანკენშტაინი: ვიქტორ, ასეთი ნაღვლიანი რატომ ხარ?

ვიქტორი ჩუმადაა

- როდესაც დედაშენი სიკვდილის პირას იყო...

ვიქტორი: გთხოვ, ახლა მას ნუ ახსენებ.

ბნ. ფრანკენშტაინი: როდესაც დედაშენი სიკვდილის პირას იყო, სიტყვა მივეცი, რომ შენი და შენი ბიძაშვილის, ელიზაბეთის ქორწილს ვნახავდი. ასეთი იყო ჩემი მეუღლის უკანასკნელი სურვილი - რომ შენ ბედნიერად გექორწინა. ისეთი

ხალისიანი ბავშვი იყავი... უზრუნველი, ცელქი, ცნობისმოყვარე... ყოველთვის სიხარული გამოძრავებდა. გულწრფელად მჯეროდა, რომ დიდებულ მწვერვალებს დაიპყრობდი და შენით ყველასთან ვიამაყებდი, მაგრამ ამის მაგივრად, გამუდმებით მწუხარებას, მელანქოლიასა და ბნელ, ნისლიან ადამიანს ვხედავ. ჩემს ავტორიტეტს არაფრად აგდებ. არ იცავ კანონებს, რომლითაც ჩვენ ვცხოვრობთ. მოკლედ, იმედებს მიცრუებ. თუ წასვლა გაქვს განზრახული, მე ვერ შეგაჩერებ, მაგრამ საცოლეს ყველაფერს თავად ეტყვი. *(ეძახის)* ელიზაბეთ! *(ვიქტორს)* სად არის ის ბიჭი, რომელიც მე მახსოვს? ნათელი თვალები და ლამაზი ღიმილი რომ ჰქონდა. სად არის, ვიქტორ? სად წავიდა?

ბატონი ფრანკენშტაინი გადის. ვიქტორს ამოსუნთქვის ხმა კვლავ ჩაესმის ყურში. გრძნობს, რომ ქმნილება უთვალთვალებს.

შემოდის ელიზაბეთი.

ელიზაბეთი: მამაშენმა მითხრა, რომ უნდა დაგვტოვო. რატომ, ვიქტორ? ინგლისში რატომ მიდიხარ?

ვიქტორი: იმიტომ, რომ ინგლისში ელექტრო-ქიმია მაღალ საფეხურზეა აყვანილი. როგორც გავიგე, ვიტალისტებმა და გალვანისტებმა საოცარი აღმოჩენები გააკეთეს. ეს საკუთარი თვალით უნდა ვნახო.

ელიზაბეთი: ქორწილის გადადების მიზეზი ეს არის?

ვიქტორი: დიახ! ჩემი ექსპერიმენტებისთვის ეს აუცილებელია.

ელიზაბეთი: რომელი ექსპერიმენტებისთვის?

ვიქტორი: იმისთვის, რომელიც ქალის თვალთახედვის მიღმაა.

ელიზაბეთი: თუ გგონია, რომ ცოლად იმ კაცს გავყვები, რომელიც ასე მელაპარაკება, ძალიან ცდები. მაინც რა არის ჩემი თვალთახედვის მიღმა?

ვიქტორი: ყველაფერი, სიმართლე გითხრა...

ელიზაბეთი: იმის თქმა გინდა, რომ მე შენზე ნაკლებად გონიერი ვარ?

ვიქტორი: დიახ, უფრო სწორად... ნაკლებად განათლებული.

ელიზაბეთი: და ეს ჩემი ბრალია? სკოლაში სიარულის უფლება არ მქონდა! მაგრამ შემიძლია ვისწავლო. შემიძლია შენი ასისტენტი გავხდე.

ვიქტორი: რა არის გალვანური ბატარეა? ლეიდენის ქილა? ელექტრონული კვერცხი?

ელიზაბეთი: მშვენივრად იცი, რომ არ ვიცი. გალვანური ბატარეა რა არის?

ვიქტორი: ელექტრონული მუხტის შემნახველი სისტემაა. რამდენიმე ჭურჭელს ერთმანეთზე პარალელურად აბავ. ამის შედეგად შეგიძლია, რომ...

ელიზაბეთი: გთხოვ, თან წამიყვანე! გასაოცრად ჟღერს!

ვიქტორი: ჯერ ოქსფორდში უნდა წავიდე. რამდენიმე თვეს უნივერსიტეტში გავატარებ. დამიჯერე, ამაში გასაოცარი არაფერია.

ელიზაბეთი: არ მადარდებს, წამოვალ.

ვიქტორი: მთელი დღეები ბიბლიოთეკაში უნდა გავატარო.

ელიზაბეთი: თაგვივით ჩუმი ვიქნები. წამიყვანე.

ვიქტორი: შემდეგ შოტლანდიის კუნძულებზე გადავალ. უნაყოფო მიწა და უნაყოფო ოკეანე. როგორც მითხრეს, საზარელი ადგილია.

ელიზაბეთი: არ მაინტერესებს! მთავარია ერთად ვიქნებით!

ვიქტორი: ელიზაბეთ, ეს სიტუაცია ქალისთვის არ არის...

ელიზაბეთი: და გგონია ეს არის? სამყარო ბრუნვას აგრძელებს, მე კი შვეიცარიაში ვზივარ და უბრალოდ, შევყურებ მას. ქვეყანას არაფერს ვუწუნებ, ულამაზესია თავისი მთებითა და ტბებით, მაგრამ ისეთი წყნარი და მტანჯველია, თითქოს, ხალხიც სიცოცხლისაგან დაიცალა. პარიზში მინდა წასვლა, რომში, ამერიკაში! მინდა, რომ სამსახურზე გელაპარაკო, სამყაროზე, მუსიკაზე, პოლიტიკაზე და ყველაფერზე!

ვიქტორი: მუსიკა და პოლიტიკა არ მაინტერესებს.

ელიზაბეთი: მე გაინტერესებ? *(პაუზა)* ვიქტორ, რამეს მალავ?

ვიქტორი: არა!

ელიზაბეთი: მაგრამ აშკარად რაღაც გაღელვებს... და ვფიქრობ, ვხვდები რაც. ვხვდები - რატომაც ხარ შეწუხებული.

ვიქტორი: *(შეშფოთებული)* ხვდები?

ელიზაბეთი: უკვე ბევრი მინიშნება მომეცი, რომ შენ...

ვიქტორი: რა? რომ მე რა?

ელიზაბეთი: ვიღაც გყავს.

ვიქტორი შეშინებულია.

- ვიქტორ, ინგოლშტადტში სხვა გოგო გყავს? სხვა შეგიყვარდა?

ვიქტორი: არა, არა! სხვა არ მიყვარს!

ელიზაბეთი: სულ დაკავებული ხარ, თითქოს, გამუდმებით სხვასთან გსურს ყოფნა...

ვიქტორი: არა, მხოლოდ შენ, ელიზაბეთ, ყოველთვის მხოლოდ შენ იყავი! სხვა არავინ მყავს, გეფიცები!

ელიზაბეთი: *(გულს მოეშვა)* ოჰ, ვიქტორ! ისეთი მარტოსული ვიყავი. როდესაც დაბრუნდი, ეს კიდევ უფრო მეტად ვიგრძენი, ვიდრე შენს არ ყოფნაში! ყოველი ცისარტყელისა თუ მზის ჩასვლის დანახვისას მინდა, რომ ემოციები შენ გაგიზიარო, მაგრამ გვერდით არ მყავხარ, არასდროს. მხოლოდ ერთია იქ, სადაც ორი უნდა იყოს. ყველაფერი, რასაც გთხოვ, ის არის, რომ შენთან წამოვიდე და უბრალოდ მოვლენების ცენტრში ვიყო. შენი სხეული მინდა, არა აბსტრაქტული, არამედ შენ.

ვიქტორი: მაპატიე. არ შემიძლია. მარტო უნდა წავიდე.

ელიზაბეთი: ვიქტორ, შენი აზრით, სიყვარული რა არის?

ვიქტორი: ექვს თვეში დავბრუნდები.

ელიზაბეთი: ეს პასუხი არ არის.

ვიქტორი: იცი, რომ თვლადი არ არის, არა? კონკრეტულად, როგორ უნდა გაზომო? კოცნების რაოდენობით?

ელიზაბეთი: გასაზომი არაფერია. უბრალოდ, უნდა ჩავარდე. თითქოს, შემაღლებული ადგილიდან პირდაპირ მორევში ეშვები. ასე, ხტები და იძირები. სიყვარულში იძირები.

ვიქტორი: გასაგებია. შენ იძირები.

ელიზაბეთი: შეიძლება რაღაც გკითხო? შვილი მინდა. შენ არა?

ვიქტორი: რა თქმა უნდა, მინდა. მე...

ელიზაბეთი: გინდა, რომ შვილები მაჩუქო?

ვიქტორი: ღვთის ნებით. მინდა.

ელიზაბეთი: ძალიან დიდხანს გელოდებოდი.

ვიქტორი: ლოდინი მალე დამთავრდება. უბრალოდ, მუშაობის დასრულების უფლება უნდა მომცე. ნეტავ, ვინმესთან შემეძლოს ამაზე საუბარი!

ელიზაბეთი: მითხარი, გთხოვ, მე მესაუბრე!

ვიქტორი: არ შემიძლია! ამას ვერავის ვეტყვი! ვისურვებდი, რომ შემეძლოს, მაგრამ არ შემიძლია.

ელიზაბეთი: მაშინ უბრალოდ მაკოცე. აი ასე.

კოცნის და ეხვევა.

- *(ჩურჩულით)* მანახე, შვილებს როგორ მაჩუქებ. შემეხე. გრძნობ ჩემს სითბოს?

ელიზაბეთი ვიქტორის ხელებს თავის სხეულს შეახებს.

- უნდა წახვიდე? აუცილებლად? არ შეგიძლია, რომ დარჩე?

ვიქტორი: ძალიან მინდა, რომ შემეძლოს..! მაგრამ არ შემიძლია.

ელიზაბეთი: მაშინ წადი და გააკეთე შენი საქმე, ოღონდ ბრწყინვალედ! როდესაც დაბრუნდები, ჩემი ქმარი გახდები და ძალიან ბევრ შვილს მაჩუქებ!

ვიქტორი უკან იხევს და ელიზაბეთს დაჟინებით აკვირდება.

ვიქტორი: ულამაზესი ხარ. მშვენიერი ცოლი მეყოლება.

ელიზაბეთი: ვიქტორ, ექსპონატი ხომ არ ვარ? - წადი.

ელიზაბეთი იცინის და ვიქტორს კარისკენ უბიძგებს.

სცენა ოცდამეექვსე

რამდენიმე კვირის შემდეგ. ძველი ფერმა ორკნის კუნძულებზე. საზარელი ამინდია. ორ ფერმერს ნავიდან მძიმე სკივრი გადმოაქვთ და ფერმისკენ მიაქვთ. უფროსი ივანია, ხოლო უმცროსს რაბი ჰქვია. ვიქტორი მათ მიჰყვება.

ვიქტორი: აქ ამინდი ყოველთვის ასეა?

რაბი: ეს საკმაოდ კარგი ამინდია.

ივანი: მაინც და მაინც კარგი ნაგებობა ვერ არის, ბატონო. ჭერი საერთოდ არ ვარგა. აქ კარგად იქნებით?

ვიქტორი: ჩემს საჭიროებებს აკმაყოფილებს. თქვენი მეუღლე საკვების მოწოდებას შეძლებს?

ივანი: შეძლებს, ბატონო, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი გვაქვს. ძირითადად - თევზი. ხორცს არ ვეხებით, არა, რაბ? თუ არ დაცურავს, არ ვჭამთ.

რაბი: კვერცხი. კვერცხს ვჭამთ.

ივანი: ეგ გამონაკლისია. კვერცხი.

რაბი: შვრიის კვერი, ბოლოკი...

ივანი: *(ანიშნებს რაბს)* შეწყვიტე! - სად დავდოთ, ბატონო?

ქოხში შედიან.

ვიქტორი: აქ დადეთ. გმადლობთ, ბატონებო. ესეც შეპირებული თანხა. ტრანსპორტირების და სამთვიანი ქირის.

ვიქტორი ფულს მაგიდაზე დებს. ივანი მის ასაღებად წამოვა, მაგრამ ვიქტორი გააჩერებს.

- მაგრამ მზად ვარ, რომ გაცილებით მეტი მოგცე, ივან, თუკი ერთ ანგარიშსაც გამიწევ. *(პაუზა)* იცი, ჩემი სფერო ადამიანის ანატომიაა. ადამიანის სხეული. გამოკვლევის პროგრესირებისთვის გარკვეული მასალა დამჭირდება. ეს არაორთოდოქსული დისციპლინაა და ზოგ აკადემიურ წრეში - მიუღებელიც კი... მაგრამ შემიძლია დავიფიცო, რომ მხოლოდ საზოგადოების უსაფრთხოება მამოძრავებს და მეტი არაფერი.

ვიქტორი სამგზავრო მოსასხამს იხდის. ლაპარაკისას სკივრს ხსნის და სხვადასხვა ქირურგიულ ინტრუმენტებს მაგიდაზე ალაგებს. ძირითადად ხერხებს და დანებს. გალვანურ ბატარეას, მილებს, მავთულის ზამბარებს და ა.შ.

რაბი: რაღაც არ მომწონს.

ივანი: გაჩუმდი, რაბ. აკადემიურ წრეებში ისედაც არ ვერევით. *(ვიქტორს)* გისმენთ, ბატონო. როგორც მივხვდი, კანონის დარღვევა გვიწევს.

ვიქტორი: დიდი ხანია ყველანაირ კანონს საგრძნობი მანძილით ჩამოვშორდი. ღამე ბნელია. მეცნიერებაში კი საიდუმლოებებს ყოველთვის ვინახავთ.

ივანი: რა გნებავთ?

ვიქტორი: ახალი სხეულის ნაწილები.

რაბი: ქირურგია! ვიცოდი! საფლავების გაძარცვას გვთხოვს!

ივანი: ორკნიზე ქრისტიანები ვართ, ბატონო. გარდაცვლილების საფლავებს არ ვძარცვავთ.

ვიქტორი: მაგრამ გარდაცვლილები უკან ვერ დაბრუნდებიან. ასე არაა? ვერ გავიზიარებ იმ აზრს, რომ მათი სამედიცინო გამოკვლევებისთვის გამოყენება არაეთიკურია.

ივანი: არა, არც ჩვენ ვიზიარებთ.

ვიქტორი: მომავალში რა იქნება შესაძლებელი, რაბ? სნეულებების დაძლევის საშუალება ხელიდან უნდა გავუშვათ? წარმოგიდგენია, რამხელა შესაძლებლობები გვექნება, თუკი ყველა გენიოსს თავისი თავის ამოწურვის საშუალება მიეცემა?

რაბი: ბიძია ივან, არასწორად ვიქცევით...

ივანი: გაჩუმდი, რაბ! - საკუთარ კუნძულზე ამას არ გავაკეთებ. კონკრეტულად რას ეძებთ?

ვიქტორი: ბოლო დროს, ვინმე ახალგაზრდა ქალბატონი ხომ არ გარდაცვლილა?

ივანი: *(ფიქრობს)* ოჰ, რონალდსეიზე.

ვიქტორი: თქვენი ნათესავია?

ივანი: არა.

ვიქტორი: დაავადებით გარდაიცვალა?

ივანი: არა, დაიხრჩო.

ვიქტორი: ღმერთმა გაანათლოს მისი სული.

ივანი: ძალიან ლამაზი ქალი იყო. რაბს მოსწონდა.

რაბი: არ მომწონდა.

ივანი: მოგწონდა.

რაბი: მისი და მომწონდა.

ვიქტორი: ლამაზი იყო?

რაბი: საკმაოდ.

ვიქტორი: კარგია. მზად ხართ, რომ ჩემი მითითებებით იმუშაოთ?

ივანი: იცით, რაბმა კითხვა არ იცის, მაგრამ...

რაბი: კითხვა ვიცი.

ივანი: ...შეგიძლიათ დაუხატოთ.

რაბი: ბიძია ივან...

ივანი: გაჩუმდი და ისე გააკეთე, როგორც ეს ბატონი გეტყვის!

ვიქტორი: რონალდსეი შორსაა?

სცენა ოცდაშვიდე

ორკნის კუნძულები. ღამე. სასაფლაო. ქარი და წვიმა.

ივანმა და რაბმა საფლავი ამოთხარეს. შიგნით არიან და ცდილობენ, რომ სხეული ტომარაში მოათავსონ. ძალიან უჭირთ.

ივანი: ჩავიდა?

რაბი: ბოლომდე ვერა.

ივანი: რას ვერ ატევ?

რაბი: არ ვიცი ბიძია, გოგონაა.

ივანი: მიდი, მოაწექი ქალბატონო!

როგორც იქნა ტომარა შეკრეს.

- ჩაეტია.

ისვენებენ.

- უცნაური გემოვნება გაქვს, რაბ, მხოლოდ ამას გეტყვი. საშინლად გამხდარია.

რაბი: გითხარი, და მომწონდა-მეთქი. ის გაცილებით ხორციანია. *(მოღუშული)* ბიძია ივან, რის გაკეთებას აპირებს?

ივანი: არ ვიცი.

რაბი: არასწორად ვიქცევით...

ივანი: როგორც იმ კაცმა თქვა, გარდაცვლილები უკან ვერ დაბრუნდებიან. მზად ხარ?

რაბი: დიახ.

ივანი: აწიე!

ტომარას საფლავიდან იღებენ. შემოდის ვიქტორი, საწვიმარი აცვია და ხელში ქარი-შხლის ფარანი უჭირავს.

ვიქტორი: გამოვიდა?

ივანი: დიახ, ბატონო.

ვიქტორი: ნავზე გადავიტანოთ. ეს მხოლოდ პირველია, ივან.

ივანი: პირველი?

ვიქტორი: შინაგანი ორგანოების მუდმივი მოწოდება დამჭირდება.

ივანი: ძალიან კარგი, ბატონო.

რაბი: ორგანოებიო!

ივანი: გაჩუმდი, რაბ! რა გაიგონე ისეთი, რაც არ გაგიგონია? შენი აზრით, ძაღლებს რას აჭმევ?

გადიან და ტომარა გააქვთ. სამალავიდან ქმნილება გამოჩნდება. წვიმაში ძალიან დასველდა, მარგამ ეს არ აწუხებს.

ქმნილება: მეც ასე დავიბადე?

საფლავს უახლოვდება.

- ღამით მომიპარეს, სველი მიწიდან. ძაღლის ხორცისგან ვარ შექმნილი? ჩემთვისაც კი ამაზრზენია. ამ საზიზღრობისგან მშვენიერებას შემიქმნის? მომინდება არსება, რომელიც სიკვდილის სუნად ყარს? *(პაუზა)* ცოდნა მწყურია, მაგრამ რაც უფრო მეტს ვსწავლობ, უფრო ნაკლები მესმის. თავს სულელურად ვგრძნობ! ბავშვივით სულელი ვარ! რა კარგი იყო, როდესაც არაფერი ვიცოდი, როდესაც კითხვები არ მქონდა. კითხვები, რომელიც ქარიშხალივით ბრუნავენ თავში! ტყეში წანწალი გაცილებით უკეთესი იყო!

სცენა მცდამერვე

ფერმა. რამდენიმე თვის შემდეგ. ღამეა. ვიქტორი მდედრ ქმნილებაზე მუშაობს. მისი სხეული დასრულებულია, ჩარჩოდან ლანდი მოჩანს. შიშისმომგვრელ საექსპერიმენტო ოთახში იარაღები და გამოუყენებელი ორგანოებია მიმოფანტული.

ვიქტორს ქირურგიული წინსაფარი უკეთია. ფერდაკარგული თვალები აქვს. ამთქნარებს.

კარზე კაკუნია. ვიქტორი მდედრ ქმნილებას პოლიეთილენის ნაჭრით მალავს და ფარდას სასწრაფოდ ჩამოაფარებს.

ვიქტორი: შემოდი!

შემოდის ივანი, თან ტომარა მოაქვს. კარიდან ქარი შემოვარდება და სანთლებს შეარხევს. ტომარა იატაკზე სისხლის კვალს ტოვებს. ივანი მას მაგიდასთან დებს.

ივანი: ესეც შენ.

ვიქტორი: გმადლობ, ივან. ეს ბოლო იქნება. დახმარებისთვის დიდი მადლობა.

ივანი: ჩვენს კუნძულს მალე დატოვებთ?

ვიქტორი: მალე.

ივანი: კარგად გემსახურეთ?

ვიქტორი: იდეალურად.

ივანი: საჭმელიც მოგეწონათ?

ვიქტორი: საჭმელი დაუჯერებელი იყო.

ივანი: ბატონო - ვშიშობ, არ მეჩვენება, მაპატიეთ, მაგრამ მთლად ჯანმრთელად ვერ გამოიყურებით.

ვიქტორი: უბრალოდ, დაღლილი ვარ. სამაგიეროდ, მუშაობა თითქმის დავასრულე! და ნება მიბოძე გითხრა - ვფიქრობ, წარმატებით!

ივანი: ძალიან მოხარული ვარ. მშვიდობით სნეულებებო! არა?!

ცდილობს, რომ ფარდის უკან შეიხედოს, მაგრამ ვიქტორი აჩერებს.

ვიქტორი: ნახვამდის, ივან.

ივანი: ნახვამდის, ბატონო.

ივანი ფულს იღებს და გადის. ვიქტორი კარს კეტავს. შემდეგ მაგიდასთან ჯდება, თავს ჩამოდებს და ჩაეძინება.

ტომარა გამოძრავდა.

ტომრიდან უილიამი ამოძვრება. ვიქტორი თვალს ახელს. სიზმარი:

ვიქტორი: უილიამ!

უილიამი: როგორ გამოგდის?

ვიქტორი: უკვე გვიანია, ახლა საწოლში უნდა იყო.

უილიამი: მკვდრებს როგორ აცოცხლებ? მარტივია?

ვიქტორი: რთულია. თითქმის სასწაულია.

უილიამი: საიდუმლო გამანდე. როდის დაიწყე?

ვიქტორი: სკოლაში.

უილიამი: მასწავლებლებიც გააცოხლე? აი, ეს ნამდვილი სასწაული იქნებოდა.

ვიქტორი: *(იცინის)* სკოლა ძალიან მოსაწყენი იყო. მაინტერესებდა, რატომ არსებობდა ყველაფერი, როგორ არსებობდა. ყველანაირი ღვთიური ძალისა და სულელური მუსიკის ჩარევის გარეშე. არსებობის კანონები! ამიტომ აკრძალული წიგნების კითხვა დავიწყე. აგრიპა, პარაცელსუსი...

უილიამი: ალქიმიკოსები!

ვიქტორი: ზუსტად! ნამდვილი მეცნიერები ისინი იყვნენ. ზეცის რუკას ადგენდნენ, ვარსკვლავების ტრაექტორიებს ინიშნავდნენ. სისხლის მიმოქცევა ჟანგბადს მათ დაუკავშირეს. ისინი თანამედროვე მედიცინის ფუძემდებლები არიან. მეც მინდოდა, რომ ბუნების სიღრმეში შემეღწია და მისი ყველაზე იდუმალი ამოცანები ამომეხსნა. ამიტომ მათემატიკის სწავლა გადავწყვიტე. გალვანიზმის ექსპერიმენტებს ვატარებდი...

უილიამი: ეგ რა არის?

ვიქტორი: როდესაც უსულო სხეულში ქლოროვანი ბატარეით სპაზმის გამოწვევა ხდება...

უილიამი: მაგარია!

ვიქტორი: ...თუთიის ფირფიტა ქლოროვანი სპირტისა და ცეილონის ტორფის ხსნარშია განლაგებული...

უილიამი: შთამბეჭდავია!

ვიქტორი: ...და როდესაც ბისმუთისა და სურმის რეაქციებზე დაკვირვებებს ვაწარმოებდი, მაშინ შევამჩნიე, რომ თავში მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებდა. საიდან მოდის სიცოცხლის პრინციპი? სიცოცხლის ნაპერწკალი?

უილიამი: ღმერთისგან.

ვიქტორი: დიახ, მაგრამ მხოლოდ ღმერთისგან?

უილიამი: არ ვიცი.

ვიქტორი: შესაძლებელია, რომ ადამიანი იყოს ღმერთი?

უილიამი: არ ვიცი!

ვიქტორი: ეს უნდა გამეგო. მივხვდი, რომ სიცოცხლის გამომწვევი მიზეზების შესწავლა სიკვდილით უნდა დამეწყო. სხეულის გაკვეთას ვესწრებოდი, მაგრამ ამ ნიმუშებისგან სარგებელი ნაკლებად მივიღე, რადგან ახალი გარდაცვლილები იყვნენ და კლინიკურ ჩარევას საჭიროებდნენ. მე სხეულის ლპობა მჭირდებოდა, ამიტომ სასაფლაოზე წასვლა გადავწყვიტე.

უილიამი: ოჰ, ვიქტორ! ფუჰ!

ვიქტორი: სხეულის გახრწნას პირდაპირ მიწაში ვაკვირდებოდი. ჭიები თვალებს ჭამდნენ, მატლები - ტვინის ქსოვილებს. სიკვდილით დასჯის ცერემონიებზე დავდიოდი, აკლდამებში. ვაკვირდებოდი იმ მომენტს, როდესაც სიცოცხლეს სიკვდილი ანაცვლებს. იმ უნიკალურ მომენტს, როდესაც თვალებში ნაპერწკალი უჩინარდება. ასე განვაგრძობდი იქამდე, სანამ უეცრად, დაკვირვებებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, შემოქმედებითი ზენიტის დროს სიცოცხლის გამომწვევ პირველყოფილ მიზეზს არ მივადექი.

უილიამი: *(აღტაცებული)* მითხარი, რა არის?

ვიქტორი: ამას ვერ გეტყვი, უილ, ძალიან პატარა ხარ.

უილიამი: რას აპირებ?

ვიქტორი: არ ვიცი. ისეთ ადგილებში ვიმოგზაურე, სადაც ადამიანს ფეხი არ დაუდგამს. მაინტერესებს, რამდენად შორს წავალ. მე ადამიანის შექმნა შემიძლია, უილ! ცოცხალი ადამიანის! შემომხედე, მე ღმერთის ჰაერით ვსუნთქავ!

უილიამი: გამრავლებას შეძლებენ?

ვიქტორი: რა?

უილიამი: მდედრებს საშვილოსნოები ექნებათ? გამრავლებას შეძლებენ? რამდენად სწრაფად გამრავლდებიან? ციკლი რამდენ ხანს გასტანს? ბევრის გაჩენას შეძლებენ? ორმოცდაათის? ასის? ათასის?

ვიქტორი: უილიამ?

უილიამი: ბავშვებიც შეძლებენ გამრავლებას? შენს ბრძანებებს დაემორჩილებიან?

ვიქტორი: რაზე ლაპარაკობ?

უილიამი: შენ მათი მეფე ხარ. შენს ბრძანებებს არ შეასრულებენ? ცუდები იქნებიან? მაგალითად, ისეთი, როგორიც ჩემი მკვლელი.

ქმნილება: ფრანკენშტაინ!

ქმნილება სხვენიდან გამოჩნდება. ის აქ იცდიდა. უილიამი გარბის. ვიქტორი იღვიძებს.

- სად არის?

ვიქტორი: აქ.

ქმნილება მიწაზე ეშვება.

ქმნილება: მაჩვენე, გენიოსო!

ვიქტორი: დამელოდე.

ვიქტორი ფარდის უკან გადის და მდედრთან ერთად ბრუნდება. მდედრი პატარა ბიძგების დახმარებით, დამოუკიდებლად დააბიჯებს. მენტალურად უფუნქციოა, მხოლოდ მოძრაობს.

ქმნილება: ოჰ! ამას შეხედეთ!

ვიქტორი მდედრს მოაცილებს. ქმნილებას თვალები სიხარულისაგან უბრწყინავს. მიუახლოვდება და მის წინ ჩაიმუხლებს.

ვიქტორი: კარგია, არა?

ქმნილება: ოჰ, ულამაზესია!

ვიქტორი: ჰო.

ქმნილება: დეტალებში გიმუშავიათ. ხელის თმა, მენჯის მოყვანილობა!

ქმნილება მას ნაზად ეხება. მდედრი საპასუხოდ მცირე მოძრაობას აკეთებს.

ვიქტორი: იდეალურია. იდეალური ცოლი.

ქმნილება: ფრანკენშტაინ, გაღიარებთ.

ვიქტორი: მას ვერ მოგცემ.

ქმნილება: რატომ?

ვიქტორი: იმიტომ, რომ არ ვიცი, რა მოხდება, თუკი სრულად გავაცოცხლებ. არც შენზე ვიცოდი, რომ ასეთი სახიფათო გამოხვიდოდი. მასზე როგორ უნდა ვიყო დარწმუნებული?

ქმნილება: ბატონო. თუკი მე შევძელი, რომ ჩემი საზიზღარი წარმომავლობა დამეთრგუნა და გაწონასწორებულ არსებად ჩამოვყალიბებულიყავი, ისიც ხომ თავისუფლად შეძლებს?

ვიქტორი: და თუ ვერ შეძლებს?

ქმნილება: შეძლებს. მორალს ვასწავლი... ისე, როგორც დე ლეისიმ მე მასწავლა...

ვიქტორი: შენ დაიფიცე, რომ განდეგილად იცხოვრებდით. მას რომ სოფელში მოუნდეს?

ქმნილება: არჩევანი არ ექნება, არგენტინაში წავალთ...

ვიქტორი: და რა მოხდება, თუკი იმ გარიგებაზე უარს იტყვის, რომელიც მის შექმნამდე შედგა? ტვინი გაანძრიე. დიდი შანსია, რომ უარი გითხრას. შესაძლოა, დანახვისთანავე შეძულდე. ერთი შემოხედვა და გაიქცევა. შეიძლება, ისიც თქვას, რომ კაცთან უნდა ცხოვრება და არა - ურჩხულთან!

ქმნილება: შეწყვიტე ლაპარაკი! რა სასტიკი ხარ!

ვიქტორი: შეხედე. შეხედე! როგორი დახვეწილია, არა? ლოყები, ტუჩები, მკერდი! ვინ არ მოისურვებდა ამ მკერდს? რა მოხდება, თუკი მიგატოვებს? ვინმე სხვა რომ იპოვოს? თავს როგორ იგრძნობ, როდესაც შენივე სახეობის არსება მიგატოვებს? ერთადერთი არსება, ერთადერთი ქმნილება, რომელსაც საწოლში იწვენდი. რა რეაქცია გექნება?

ქმნილება: რომ მიმატოვოს, გავგიჟდები.

ვიქტორი: ეს უკვე სარისკოა, არა?

ქმნილება: არა. იმიტომ, რომ ერთგულებას და პატივისცემას ვასწავლი. არასოდეს მიმატოვებს.

ვიქტორი: გამოდის, რომ ამ რისკზე უნდა წავიდე?

ქმნილება: ვალდებული ხართ! ვალდებული ხართ!

ქმნილება მდედრს თმაზე ეფერება.

- ის ჩემია. გთხოვთ. გთხოვთ.

ვიქტორი: ამბობ, რომ მას დაიცავ?

ქმნილება: დიახ, ოჰ დიახ! მას ვერავინ ავნებს. გვერდიდან არ მოვშორდები.

ვიქტორი: ამბობ, რომ გეყვარება?

ქმნილება: დიახ, ვამბობ.

ვიქტორი: სიყვარულის სწავლა შეუძლებელია. სიყვარულს ვერავინ ვერასოდეს გასწავლის. მას ან სულიერად გრძნობ, ან...

ქმნილება: ოჰ, შემოქმედო! მიყვარს! ძალიან მიყვარს! ძალიან!

ვიქტორი: გინდა მითხრა, რომ სული გაქვს?

ქმნილება: უნდა მქონდეს! მითხარით, რომ გჯერათ ჩემი...

ვიქტორი: სიყვარული როგორი შეგრძნებაა?

ქმნილება: თითქოს, სხეულიდან მთელ ჩემს ცხოვრებას გათავისუფლება უნდა და პირთან მაწვება. თითქოს, ფილტვებზე ცეცხლი მიკიდია, ხოლო გულზე ურო მადევს. თითქოს, მსოფლიოში ყველაფრის გაკეთებას შევძლებ. აბსოლუტურად ყველაფრის!

ვიქტორი: ამას განიცდი?

ქმნილება: დიახ!

გულდასაწყვეტი მომენტი, სადაც ნათელი ხდება, რომ სიყვარულის შესაძლებლობა ქმნილებას უფრო გააჩნია, ვიდრე ვიქტორს.

- ამას განვიცდი. გამიცოცხლეთ და სამუდამოდ ხელის გულზე ვატარებ.

ვიქტორი: სწორედ ამ სიტყვების გაგონებას ველოდებოდი. თურმე ჩასჭიდებიხარ იმ ემოციას, რომელსაც ჩვენ სიყვარულს ვუწოდებთ. ახლა კი მოითმინე. საქმეს ბოლომდე მივიყვან.

ვიქტორი მდედრ ქმნილებას ფარდის უკან მიაცილებს.

- უნდა დამეხმარო. გარეთ ასეთ მდგომარეობაში ვერ გავუშვებთ. უნდა ჩავაცვათ - დედოფალივით.

ქმნილება: დედოფალი!

ვიქტორი: სკივრში ჩაიხედე. ჩემი საცოლის ტანსაცმელი უნდა იყოს. ყველაზე კარგი აარჩიე შენი პატარძლისთვის. მალე მოვრჩები და დაგიძახებ.

ვიქტორს მდედრი ქმნილება ფარდის უკან გაჰყავს. ქმნილება სკივრთან მიდის და ცდილობს გააღოს.

ქმნილება: ხავერდოვან ტანსაცმელს შევურჩევ, ლამაზი მაქმანებით. სადაფისფერი აბრეშუმით მოვრთავ. ბაღში ჩემს ანგელოზის მსგავს ევასთან ერთად ვისეირნებ! მე ადამი ვიქნები, ის კი - ევა. ჯოჯოხეთის ყველა მოგონება თოვლივით დადნება.

სკივრს აღებს, მაგრამ იქ წიგნების მეტი არაფერი ხვდება. ტანსაცმელი არსადაა. მიხვდა, რომ მოტყუვდა. უეცრად საშინელ ხმას გაიგონებს და შემობრუნდება. ფარდას მივარდება, ჩამოგლეჯს და დაინახავს, რომ ვიქტორი მდედრ ქმნილებას უშველებელი დანით ჩეხავს. ის მას კიდურებს აცლის. სრულიად განადგურებულია.

- ააჰ!

ვიქტორი: სიყვარულის ძალაზე არაფერი იცი! სრული უგუნურობაა! აბსურდული განუკითხაობა! ეს უწესრიგობაა, მყიფეა, არამდგრადია, სიგიჟეა! ყველაფერთან ერთად უკონტროლო! მილიონობით თქვენნაირი დედამიწაზე? დაწყვილდეთ და შთამომავლობა შვათ? არა! შენ ხარ ერთადერთი არსება შენი სახეობიდან და სამუდამოდ ასე დარჩები!

ქმნილება ვიქტორის ფეხებთან ჩაიმუხლება და მიმოფანტულ სხეულის ნაწილებს უყურებს.

ქმნილება: გაიღვიძე, ჩემო მეუღლევ! გაიღვიძე! გაიღვიძე!

ვიქტორი: არასოდეს გაიღვიძებს!

ქმნილება ვიქტორს ყელში სწვდება. ახრჩობს. უეცრად, კარზე კაკუნია.

პოლიციელი: *(გარედან)* ბატონო! ბატონო! კარი გააღეთ!

ბნ. ფრანკენშტაინი: *(გარედან)* ვიქტორ, შემოგვიშვი!

ქმნილება: ააჰ!

ქმნილება ვიქტორს იატაკზე დაანარცხებს და ფანჯრის რაფაზე შეხტება.

- შენ პირობა დაარღვიე ფრანკენშტაინ! ერთმანეთს აუცილებლად შევხვდებით!

ქმნილება გადის. კაკუნი გრძელდება.

ბნ. ფრანკენშტაინი: *(გარედან)* ვიქტორ! ვიქტორ!

ივანი: *(გარედან)* შეხედეთ! რაღაც გარბის!

პოლიციელი: *(გარედან)* ღმერთო ჩემო! ეს რა არის?

ბნ. ფრანკენშტაინი: ვიქტორ! კარი გააღე!

ბატონი ფრანკენშტაინი, პოლიციელი და ივანი კარს შემოამტვრევენ. ვიქტორი მამის ხელებში ჩავარდება.

ვიქტორი: მამა..?

ივანი: ღვთის გულისათვის, ეს რა ადგილია?

ვიქტორი: მამა... მოხვედი...

ბნ. ფრანკენშტაინი: ვიქტორ, დიდი ხანია შენგან არაფერი ისმის. ძალიან ვნერვიულობდით!

ვიქტორი: შენ არ იცი, რა ჩავიდინე!

ბნ. ფრანკენშტაინი: უსაფრთხოდ ხარ ჩემო ბიჭო... სახლში წაგიყვან.

ვიქტორი: მამა, უნდა დავქორწინდე. ელიზაბეთზე უნდა ვიქორწინო! გადავწყვიტე! ბოლოს და ბოლოს!

ბნ. ფრანკენშტაინი: გთხოვთ, დამეხმარეთ, ნავზე გადავიყვანოთ.

ივანი: ახლავე, ბატონო!

ვიქტორს ეხმარებიან. ხლაფორთით წიგნაკს იპოვის და ბატონი ფრანკენშტაინის ხელში ჩაჩურთავს.

ვიქტორი: გამომართვი. გამომართვი! მინდა შემპირდე, რომ გაანადგურებ!

ბნ. ფრანკენშტაინი: შენი წიგნაკი?

ვიქტორი: გაანადგურე, მამა! დაწვი! ეს არავინ უნდა წაიკითხოს! მომცემ სიტყვას? მოსამართლის სიტყვა მომეცი, რომ გაანადგურებ!

ბნ. ფრანკენშტაინი: სიტყვას გაძლევ. სახლში წამოდი.

ბატონ ფრანკენშტაინს ვიქტორი ფერმიდან გაჰყავს.

პოლიციელი: აქ რას აკეთებდა? შენ, ბერიკაცო! ილაპარაკე.

ივანი: სამედიცინო გამოკვლევას ატარებდა, როგორც თვითონ თქვა, ბატონო.

პოლიციელი სისხლის გუბეს შეეჩეხება.

პოლიციელი: სამედიცინო გამოკვლევას? ღმერთო ჩემო!

გადიან.

სცენა მცდამეცხრე

ფრანკენშტაინების სახლი, ჟენევის ტბასთან.

შემოდიან მსახურები. ჭიქა ღვინო უჭირავთ, აღნიშნავენ და მღერიან.

მსახურები:

ფიცი დადეს, კვანძი შეკრეს,
სიძე-პატარძალი მორთეს.

სადღეგრძელო ვთქვათ ჩვენ ლხინით
ფრანკენშტაინს ვლოცავთ ღვინით.

მსახურები გადიან.

ელიზაბეთი ქლერისთან ერთად საქორწილო კაბით შემოდის. მთავარ საძინებელში ვართ; ვხედავთ დიდ საწოლს. მოშორებით ზარების ხმა ისმის.

ქლერისი: გესმით? - წყალზე ზარების ხმა ჯერ კიდევ ისმის.

ელიზაბეთი: მესმის.

ცოტა ხნით უსმენენ.

ქლერისი: მთელი გულით გილოცავთ, ქალბატონო. არაჩვეულებრივი დღე იყო.

ელიზაბეთი: გმადლობ. გთხოვ, საწოლისთვის მომამზადე.

ქლერისი: ახლავე, ქალბატონო.

ქლერისი მას გახდაში ეხმარება.

ელიზაბეთი: მინდა, რომ ლამაზად გამოვიყურებოდე.

ქლერისი: დიახ, ქალბატონო.

ელიზაბეთი: იქნებ ამ შემთხვევაში მაინც...

ქლერისი: მე სრულიად დარწმუნებული ვარ.

ელიზაბეთი ცდილობს თავი შეიკავოს, მაგრამ ტირილი უტყდება.

ელიზაბეთი: არასოდეს მეხება! არასოდეს მიახლოვდება! რაც ჩამოვიდა, ნორმალურად არც კი გვისაუბრია!

ქლერისი: ყოველთვის ასეთი უცნაური იყო.

ელიზაბეთი: რამე არასწორი ჩავიდინე, ქლერის?

ქლერისი: არასწორი არაფერი ჩაგიდენიათ, ქალბატონო. იცით, კაცები ქორწილის ღამეს ზოგჯერ ისევე ნერვიულობენ, როგორც ჩვენ. ბევრი მათგანი გამოუცდელია.

ელიზაბეთი: მე არ ვნერვიულობ!

ქლერისი: ვიცი, რომ არა, ქალბატონო, მაგრამ ისიც ხომ არ იცით, რას უნდა მოელოდოთ, არა? პირველ ჯერზე არავინ იცის. შესაძლოა, ცოტა შოკშიც ჩავარდეთ. ესეც ასე, ქალბატონო - ტილოს ნახატივით მშვენიერი ხართ.

ქლერისი მას გრძელ პერანგში გამოაწყობს და თმის გაშლაში ეხმარება.

- ზოგი ქალბატონი ამას ვერასოდეს ეჩვევა. ოჰ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თქვენ მიეჩვევით.

ელიზაბეთი: სად არის?

ქლერისი: მალე მოვა, ქალბატონო. დაელოდეთ და ნახავთ. ალბათ ორ ჭიქა ღვინოს დალევს, თუ ჩემს ქმარს რამით წააგავს. რომ შეეძლოს, თავზე ალბათ ტომარას წამომაცმევდა. აბა, დასაწოლად მზად ხართ?

ელიზაბეთი: ჯერ მინდა ვილოცო. - დიდი მადლობა.

ქლერისი: ღამე მშვიდობის, ქალბატონო. ღმერთმა დაგლოცოთ.

ქლერისი რევერანსით გადის. ელიზაბეთი საწოლთან ჩაიმუხლებს და ლოცულობს. შემოდის ვიქტორი. ორივე ხელში იარაღი უჭირავს და გაგიჟებული სახით დააბიჯებს. მას ორი მსახური მოჰყვება, რომლებიც მუშკეტებით არიან შეიარაღებული.

ელიზაბეთი: ვიქტორ!

ვიქტორი: მომახსენეთ!

მსახური 1: ტერასას და სახურავს ვყარაულობთ.

მსახური 2: ჩვენი ხალხი ტბასთანაც დგას.

ვიქტორი: კარგია. გარეთ დამელოდეთ. მალე შემოგიერთდებით.

მსახურები გადიან. ვიქტორი ჭიქა ლიქიორს ნაჩქარევად მოსვამს. ელიზაბეთი აღელვებულია.

ელიზაბეთი: ვიქტორ, რა ხდება?

ვიქტორი: სახლი დაცულია. ყველა შესასვლელთან დაცვა დგას.

ელიზაბეთი: რატომ? რა ხდება? მითხარი.

ვიქტორი: უფრო ადრეც უნდა მეთქვა.

ელიზაბეთი: მეც ასე ვფიქრობ.

ვიქტორი: ჩემი ერთ-ერთი ექსპერიმენტია, ელიზაბეთ. რთული დასაჯერებელია, ასახსნელადაც ცოტა დრო მაქვს, მაგრამ უბრალოდ ფაქტია - მე ადამიანი ავაწყე.

ელიზაბეთი: რა?

ვიქტორი: ადამიანი ავაწყე და მისი ამოძრავება შევძელი.

ელიზაბეთი: გაიმეორე.

ვიქტორი: ადამიანი ავაწყე!

ელიზაბეთი: ამოძრავება? გინდა თქვა, რომ გააცოცხლე?

ვიქტორი: ჰო, გავაცოცხლე. ჩემი ქმნილება, გავაცოცხლე!

ელიზაბეთი: შენი ქმნილება?

ვიქტორი: ჩემი არ გჯერა?

ელიზაბეთი: მჯერა. მჯერა შენი. თუ ამბობ, რომ ქმნილება შექმენი და გააცოცხლე, მაშინ... *(სიხარულით)* რა თქმა უნდა, მჯერა შენი. *(იცინის)* როგორია? თოჯინას ჰგავს?

ვიქტორი: არა, ის ცოცხალია - ის სასტიკი ადამიანია, ელიზაბეთ!

ელიზაბეთი: სასაცილოა. ამბობ, რომ... მეუბნები, რომ რაღაც არსება შექმენი, სავარაუდოდ, შენი ელექტრონული კვერცხებით და ის, რა? რას აკეთებს?

ვიქტორი: დამდევს.

ელიზაბეთი: ვიქტორ, ძალიან ავად იყავი. შოტლანდიაში შენ... ნერვული აშლილობა გქონდა.

ვიქტორი: მისმინე. აქ, სადღაც, ეს რაღაცაა და უნდა, რომ გამანადგუროს! სპეციალურად შემოვიტყუე და ახლა უნდა ვიმოქმედო. მე უნდა მოვკლა, სანამ თვითონ დამასწრებს!

ელიზაბეთი: რას ნიშნავს, შემოიტყუე?

ვიქტორი: ვიცოდი, რომ ამისთვის... ამისთვის მოვიდოდა...

ელიზაბეთი: ქორწილისთვის? მოწვევა გაუგზავნე? ვიქტორ! სიაში არ იყო!

ვიქტორი: ელიზაბეთ, მე არ ვხუმრობ! გთხოვ, დამიჯერე!

ელიზაბეთი: გინდა დავიჯერო, რომ რაღაც ურჩხული შექმენი?

ვიქტორი: ჰო, მე...

ელიზაბეთი: რატომ?

ვიქტორი: ბოდიშს ვიხდი...

ელიზაბეთი: რატომ? ეს რატომ გააკეთე?

ვიქტორი: იმიტომ, რომ ხილვა მქონდა. სრულყოფილება ვიხილე. ბუნებას თავის არსში მივაგენი და საიდუმლოებებისგან გავაშიშვლე. ბნელ სამყაროში სინათლის ნაკადები გავაჩინე. მე ეს გამომივიდა, ელიზაბეთ! გამომივიდა!

ელიზაბეთი: შენს დიდებულებაში ეჭვი არასდროს შემპარვია.

ვიქტორი: სიკვდილი დავამარცხე! გამომივიდა! ცოცხალი არსება შევქმენი!

ელიზაბეთი: თუკი სიცოცხლის შექმნა გსურდა...

ვიქტორი: სწორედ ეს მსურდა!

ელიზაბეთი: ბავშვი რატომ არ მაჩუქე? შეგვეძლო, რომ წლების წინ დავქორწინებულიყავით.

ვიქტორი: არა, არა ეს სულ...

ელიზაბეთი: ჩვენ სიცოცხლეს ასე ვქმნით, ვიქტორ... ჩვეულებრივ ასეა!

ვიქტორი: მე მეცნიერებაზე ვსაუბრობ, ელიზაბეთ.

ელიზაბეთი: არა, შენ სიამაყეზე საუბრობ! ღმერთის საქმიანობაში ჩაერიე - ამის თქმა გსურდა, არა? რამაც ცუდი შედეგი გამოიღო.

ვიქტორი: შენში სამოთხეს ვხედავ, მაგრამ ვაშლი უკვე შეჭმულია. უკან ვერ დავბრუნდებით.

ელიზაბეთი: ბუნების კანონებში ჩაერიე და ყველა ქაოსში გაგვხვიე. მხოლოდ იმიტომ, რომ ელექტროობისა და აირის ღმერთებს ეთაყვანები. კაცებს რაღაც გჭირთ.

ვიქტორი იარაღებს მოიმარჯვებს.

ვიქტორი: მთელ სახლში დაცვაა მობილიზებული. ჩემს სულელურ შეცდომას სიცოცხლეს მოვუსპობ და მაშინვე დაგიბრუნდები.

ელიზაბეთი: გთხოვ, არ წახვიდე, მომიცადე! გემუდარები!

ვიქტორი: ამისთვის მოგვიანებით მოვიცლით, ელიზაბეთ. *(ძალდატანებით)* ვეცდები, რომ მიყვარდე.

ელიზაბეთი: ვიქტორ!

ვიქტორი გარბის. ელიზაბეთი საწოლთან ზურგით დგას. უეცრად საწოლიდან ქმნილება წამოიმართება და ელიზაბეთს შებოჭავს. ხელებს ზურგს უკან დაუჭერს და პირზე ხელს ააფარებს. ელიზაბეთი წინააღმდეგობას უწევს, მაგრამ ქმნილება ძალიან ძლიერია.

ქმნილება: არ იყვიროთ! არაფერს დაგიშავებთ. არ იყვიროთ! თქვენი დახმარება მჭირდება.

ელიზაბეთი ნაკლებად ეწინააღმდეგება. ქმნილება ხელს მაინც არ უშვებს.

- ხვდებით, ვინ ვარ?

ელიზაბეთს შეშინებული თვალები აქვს. ის თავს უქნევს.

- მაგრამ არ უთქვამს, როგორ გამოვიყურები, არა?

ელიზაბეთი უარის ნიშნად თავს გაუქნევს.

- გაინტერესებთ? ელიზაბეთ?

კვლავ შეშინებული, ნელი მოძრაობით თავს უქნევს.

- არ იყვიროთ. ხელს გიშვებთ.

ფრთხილად გაუშვებს. ელიზაბეთი არ ინძრევა.

- შემობრუნდით და შემომხედეთ.

ელიზაბეთი ბრუნდება. სუნთქვა აღმოხდება.

- თქვენი დახმარება მჭირდება. საჩივარი მაქვს.

ელიზაბეთი: ეს ვიქტორმა ჩაიდინა..?

ქმნილება: ფიქრობთ, რომ ჭკვიანია?

ელიზაბეთი: გენიოსია.

ქმნილება: ოჰ, დიახ, მართალია!

ელიზაბეთი დაჟინებით ათვალიერებს, ძალიან ახლოს მივა.

ელიზაბეთი: სახელი რა გქვია?

ქმნილება: სახელი? ჩემთვის ნამდვილი საგანძური იქნებოდა! არ მოუცია. შემეხეთ.

ელიზაბეთი შეშინებულია. ქმნილება ხელს სახეზე შეახებინებს.

- რას გრძნობთ, ელიზაბეთ?

ელიზაბეთი: სითბოს.

შემდეგ - ხელს გულზე დაადებინებს.

ქმნილება: აქ?

ელიზაბეთი: გულისცემას.

ქმნილება: ზუსტად ისეთს, როგორიც თქვენ გაქვთ.

ქმნილება თავის ხელს ელიზაბეთის მკერდს შეახებს. უშნოდ გაელიმება.

ელიზაბეთი: *(მკაცრად)* თუ შეიძლება, ხელი აიღეთ.

ელიზაბეთი თვალს თვალში გაუსწორებს. ქმნილება ხელს გაწევს.

- ამბობთ, რომ საჩივარი გაქვთ.

ქმნილება: ქალბატონო, თქვენი მეუღლე კარგი კაცია, მაგრამ სიტყვის შენახვა არ იცის. შვილი რომ შეგეძინოთ და ჩემსავით გამოიყურებოდეს, მიატოვებდით?

ელიზაბეთი: ბავშვს არასოდეს მივატოვებდი.

ქმნილება: დარწმუნებული ხართ?

ელიზაბეთი: დარწმუნებული ვარ.

ქმნილება: მის ამაზრზენ იერს მნიშვნელობა არ აქვს?

ელიზაბეთი: რა თქმა უნდა, არა.

ქმნილება: მან მიატოვა. მე მიმატოვა. მხოლოდ იმიტომ, რომ ასე გამოვიყურები. სხვანაირად.

ელიზაბეთი: თუ ვიქტორი ცუდად გექცეოდათ, აუცილებლად დაველაპარაკები. ჩემი იმედი გქონდეთ.

ქმნილება: დასაძინებლად დაბრუნდება, არა?

ელიზაბეთი: უნდა ისწავლოს, რომ საკუთარ ქცევებზე პასუხი უნდა აგოს და...

ქმნილება: ალბათ, თქვენთან დაწოლა ძალიან სურს. ქორწილის ღამეა.

ელიზაბეთი: ...უსახლკაროები ყოველთვის კეთილი გულით მივიღოთ.

ქმნილება: უსიტყვოდ გეთანხმებით, ჩაგრულებს დახმარება სჭირდებათ. ჩემს საქმესაც განიხილავთ?

ელიზაბეთი: რა გნებავთ?

ქმნილება: არ მითხოვია, რომ დავბადებულიყავი, მაგრამ, რადგანაც ასე მოხდა, სიცოცხლისათვის ვიბრძოლებ. ყველა სიცოცხლე ძვირფასია, მათ შორის - ჩემი. შემპირდა, რომ მაჩუქებდა იმ ერთადერთს, რაც ჩემს გულს აკლდა. რაც ჩემს გულს შეავსებდა, მაგრამ სიტყვა დაარღვია. მხოლოდ მეგობარი მინდა! სულ ესაა!

ელიზაბეთი: *(ყოყმანით)* მე ვიქნები თქვენი მეგობარი. თუ უფლებას მომცემთ.

ქმნილება: იქნებით?

ელიზაბეთი: თუ დახმარება გჭირდებათ, მაშინ... ვნახოთ, რა შეგვიძლია.

ქმნილება: ჩემთან დაბრძანდით. არაფერს დაგიშავებთ, გპირდებით. განათლებული ვარ, ცუდისა და კარგის გარჩევა შემიძლია.

ელიზაბეთი დაჟინებით აკვირდება.

ელიზაბეთი: საოცარია. იცით, რომ საკმაოდ არაჩვეულებრივი ხართ?

ქმნილება: მე?

ელიზაბეთი: დიახ, თქვენ.

ქმნილება ხელს გაუწვდის. ელიზაბეთი მას საწოლთან მიჰყვება. გვერდიგვერდ სხდებიან.

ქმნილება: იქნებ გენიოსიც ვარ?

ელიზაბეთი: *(იცინის)* შესაძლოა. კარგად რა გამოგდით?

ქმნილება: მიბაძვის ხელოვნებაში საკმაოდ კარგი ვარ. მე ვუყურებდი, ვუსმენდი და ვსწავლობდი. თავიდან საერთოდ არაფერი ვიცოდი, მაგრამ ნელ-ნელა ადამიანების ქცევები შევისწავლე და განადგურებას, სიძულვილს, მოსპობას, დამცირებას დავეუფლე. ხოლო ჩემი შემოქმედისგან მე ადამიანის უმაღლეს უნარს გავეცანი. უნარს, რომელსაც არც ერთი სხვა არსება არ ფლობს. მე ტყუილი ვისწავლე.

ელიზაბეთი: ტყუილი?

ქმნილება: ამ საღამოს იდეალურ ადამიანს შევხვდი. გმადლობთ, რომ ჩემს გაგებას შეეცადეთ, მაგრამ მან თავისი პირობა დაარღვია. ამიტომ მე ჩემსას დავარღვევ. გულწრფელად ვწუხვარ, ელიზაბეთ.

ელიზაბეთი: ეს რას...

ელიზაბეთი ყველაფერს გვიან მიხვდა. კარებს მიაცხრება, მაგრამ ქმნილება დაეწევა და შებოჭავს, პირზე ისევ ხელს აფარებს. საწოლთან მიათრევს, სადაც გააუპატიურებს.

ელიზაბეთი ფეხებს ურტყამს, ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს, მაგრამ ამაოდ. ფეხებს ძალით გაუშლის და შევა.

ოთახში ვიქტორი შემორბის.

საზარელი სანახაობის გამო უკან იხევს, სრულიად შეშდება და უყურებს, როგორ აუპატიურებს ქმნილება მის მეუღლეს.

ქმნილება საზარელი, გამაყრუებელი ხმით დაიღრიალებს და ელიზაბეთს პირიდან ხელს გაუშვებს. ელიზაბეთი ყვირის.

- ვიქტორ!

ვიქტორი: ელიზაბეთ!

ქმნილება ვიქტორს შეამჩნევს. ის ელიზაბეთს კისერს მოუგრეხს. ელიზაბეთი მოკვდა.

- არა!

ქმნილება მის უსულო სხეულს საწოლში მიატოვებს და ფანჯარაზე შეხტება. ვიქტორს მიმართავს.

ქმნილება: კარგი იყო!

ვიქტორი იარაღს დაუმიზნებს, მაგრამ სროლას ვერ ბედავს.

- მესროლე, მიდი, მომკალი!

ქმნილება საზარლად გაიცინებს და ფანჯრიდან გარბის. ვიქტორი ელიზაბეთის გვამთან მიდის და ეხუტება. შემორბიან ქლერისი და მსახურები.

ქლერისი: ბატონო!

ვიქტორი: აიყვანეთ! ჩემს ოთახში გადაიყვანეთ!

ქლერისი: ბატონო, ის გარდაიცვალა!

ვიქტორი: წამოიყვანეთ!

ქლერისი: მაგრამ, ბატონო, ის ცოცხალი აღარ არის...

ვიქტორი: შევძლებ მის დაბრუნებას, ქლერის, მე მას დავაბრუნებ!

მსახურებს ავალებს რომ ელიზაბეთი გაიყვანონ. ამასობაში ქლერისი გარბის.

- სწრაფად! აღჭურვილობა თან მაქვს, პროცესის უკუსვლა შესაძლებელია. ჯერ კიდევ თბილია, სისხლიც არ დაუკარგავს. სწრაფად, აქეთ!

მსახურებს ელიზაბეთის გვამი კარისკენ მიაქვთ. ვიქტორიც მათ მიჰყვება. შემოდიან ბატონი ფრანკენშტაინი და ქლერისი.

ქლერისი: ბატონო, ხელი უნდა შეუშალოთ!

ბნ. ფრანკენშტაინი: ვიქტორ, ვიქტორ, რა ჩაიდინე? ისევ ავად ხარ! შეწყვიტე ბოლოს და ბოლოს!

ქლერისი: ის მკვდარია, ბატონო, ნამდვილად მოკვდა!

ბნ. ფრანკენშტაინი: ოჰ, ჩემო ძვირფასო ელიზაბეთ! - მან მოკლა?

ვიქტორი: არა, არა, მე...

ბნ. ფრანკენშტაინი: საწოლზე დააწვინეთ და გადააფარეთ, ახლავე!

მსახურები ბრძანებას ასრულებენ.

ვიქტორი: შემიძლია დავაბრუნო! ამის უნარი მაქვს!

ბნ. ფრანკენშტაინი: რას გულისხმობ?

ვიქტორი: გავაცოცხლებ! დამიჯერე.

ბნ. ფრანკენშტაინი: რას ბოდავ?

ქლერისი: გაგიჟდა, ბატონო.

ვიქტორი: არ გავგიჟებულვარ! მე ძალა მაქვს, რომელიც თქვენს ცნობიერებას სცდება! როგორ მიბედავ?

ბნ. ფრანკენშტაინი: ვიქტორ, ეს უღმერთობაა! ამას ვერ დავუშვებ!

ვიქტორი ფანჯრიდან ქმნილებას ეძახის.

ვიქტორი: ყოველთვის, როდესაც უკან გამოიხედები, მე დამინახავ!

ბნ. ფრანკენშტაინი: შეაკავეთ.

ვიქტორი გაქცევას ცდილობს, მაგრამ აკავებენ.

- ეს რა ჩაიდინე? ჯერ უილიამი, ახლა კი ელიზაბეთი. ყველგან სიკვდილია! გონება არეული გაქვს, ეს...

ვიქტორი: ჩემი გონება დიდებულია! დიდებული!

ბნ. ფრანკენშტაინი: გაიყვანეთ. ამ ურჩხულს ვეღარ ვუყურებ!

მსახურებს ვიქტორი გაჰყავთ. ბნ. ფრანკენშტაინი ჩაიმუხლება და საშინლად აქვითინდება.

- ოჰ, ღმერთო, მომიტევე.

ქლერისი: დამშვიდდით, ბატონო.

ბნ. ფრანკენშტაინი: ეს რა მოვავლინე მსოფლიოს.

ქლერისი: რაც შეგეძლოთ ყველაფერი გააკეთეთ.

ბნ. ფრანკენშტაინი: არ გამომივიდა.

არქტიკაში ყინულის თაღი მოჩანს. ქარბუქი მძვინვარებს. ამ სცენაში უზარმაზარი მთვარე დომინირებს.

ქმნილებას ბევრი არაფერი აცვია, თან მხოლოდ ზურგჩანთა აქვს. სიცივე არ აწუხებს. ჩვენ მოგვმართავს:

ქმნილება: გული გამიშავდა. ყარს. ჩემი გონება, რომელიც ერთ დროს სილამაზით იყო სავსე, შურისძიების ბუხარს დაემსგავსა! სამი წლის წინ, როდესაც დავიბადე, მზის სითბო მახალისებდა და ვიცინოდი, ჩიტების ხმა მესმოდა და ვტიროდი. სამყარო ჩემთვის სიუხვის რქა იყო! ახლა კი უბრალოდ თოვლისა და ყინულის გროვაა.

ქმნილება ჩანთიდან ვერცხლის დანას, თეფშს, კალის თასს და ხელსახოცს იღებს. ყველაფერს ყინულზე აწყობს. თეფშზე ქორფა ხორცის ნაჭრებს ალაგებს და მათარადან ღვინოს ისხამს.

- შვილი მამა ხდება, მბრძანებელი - მონა. შავი ზღვა მოვატარე, რუსეთი და ტარტარია, მთავარანგელოზის ყინულით დაფარული მიწები. ჩრდილოეთით მივდივართ, ყოველთვის ჩრდილოეთით. მისი ძაღლები დაიღუპნენ; მარაგი ამოეწურა, მაგრამ ხელშეკრულებას ვერცერთი დავარღვევთ: ის ჩემს გასანადგურებლად ცხოვრობს, მე კი იმისთვის, რომ წინ გავუძღვე. *(ქარში დაუძახებს)* ფრანკენშტაინ! მოდი! *(ჩვენ)* სიზმრებს ვნახულობ... დამესიზმრა, თითქოს, ლაშქრობაში ვიყავით. მოწმენდილი ცის ქვეშ მთაზე მივცოცავდით. ყოველთვის ერთად ვსეირნობდით და ვლაპარაკობდით... ცხოვრებას მასწავლიდა. შეცდომების თავიდან აცილებაში მეხმარებოდა. ქალების გულის მონადირებაში მამეცადინებდა. სწორედ ამისთვის დავბრუნდი, მაგრამ ზურგი მაქცია! ეს რატომ გააკეთა? ზურგი რატომ მაქცია?

სიღრმეში ვიქტორი მოჩანს. ბეწვის ქურქშია გახვეული და გათოშილი ხელებით ძაღლების მარხილს მოათრევს.

- მოდი! რა მოხდა? ოჰ, გცივა? თავს მარტოსულად ხომ არ გრძნობ?

ვიქტორს პასუხის დასაბრუნებლად ძალა არ ჰყოფნის. ქმნილებისკენ ოდნავ წაიბორძიკებს.

- მოდი, დიდო მოგზაურო! ნახე - საჭმელი მაქვს. სელაპის ხორცი. ზუსტად მოგზაურების საჭმელია!

ვიქტორი საჭმელთან მიხოხდება და ჭამას დაიწყებს. ქმნილება იქვე მოიკუნტება და შორიდან უყურებს.

- ძალაუფლება გინდოდა. შენს თავს შეხედე. უკვდავება. შენს თავს შეხედე. ისე რატომ მექცეოდი, თითქოს დამნაშავე ვყოფილიყავი?

ვიქტორი: შენ ჩემი ცოლი მოკალი.

ქმნილება: შენ კი - ჩემი. დამნაშავეები ისინი არიან, ვისაც კარზე მივადექი და წიხლით გამომაგდეს! - ოჰ, თუ ისინი კეთილშობილი ქრისტიანები არიან და მე სიმახინჯე, რომელიც იმისთვის შეიქმნა, რომ წიხლი უთავაზო? ლოგიკა სად არის? მსგავსი სისულელე შეურაცხმყოფელიც კია. რომელმა სულელმა თქვა, რომ ზარალი ანაზღაურებადია?

ვიქტორი: საკუთარი თავი თავად დააზარალე.

ქმნილება: მართლა? როგორ? ამიხსნი? გთხოვე, რომ შეგექმენი? გთხოვე, ნეხვის ტომრისაგან შემქმენი-მეთქი? განსხვავებული ვარ. ვიცი, რომ განსხვავებული ვარ! ვცადე, რომ იგივენაირი ვყოფილიყავი, მაგრამ სხვანაირი ვარ. რატომ არ შემიძლია, რომ ის ვიყო, რაც ვარ? კაცობრიობას რატომ ვეზიზღები? ერთადერთი, ვინც სიბრალული გამოიჩინა ელიზაბეთი იყო. საყვარელი ელიზაბეთი. მისი ტუჩების გემოს ახლაც ვგრძნობ. მარწყვივით ტუჩები ჰქონდა, თბილი მკერდი, ლამაზი ფეხები...

ვიქტორი ცდილობს, რომ ფეხზე წამოდგეს, მაგრამ ზედმეტად სუსტია და ეცემა.

- ადექი! პოლუსამდე სიარული უნდა გავაგრძელოთ! მაგნიტის წყარო ვიპოვოთ, არ გინდა? აღმოჩენები გავაკეთოთ! როგორ ამბობ ხოლმე? ნათელი შუქი მოვფინოთ სიბნელეს, არა? ადექი! ადექი!

ვიქტორს სახე თოვლში აქვს ჩარგული და გაუნძრევლად წევს.

- შემოქმედო!

ვიქტორი არ ინძრევა.

- არ მითხრა, რომ უკვე მოკვდი. შემოქმედო, ამაზე მეტი გამძლეობა არ გაგაჩნია? ჩვენ ხომ ახლახანს დავიწყეთ?

ქმნილება ღელავს.

- არ მიმატოვო. მარტო არ დამტოვო. მე და შენ ხომ ერთი მთლიანი ვართ.

ქმნილება ჩაიმუხლება და ვიქტორს სიფრთხილით შეეხება.

- თუ შენ ცოცხლობ, მეც ვცოცხლობ. თუ შენ წახვალ, მეც უნდა წავიდე. შემოქმედო, სიკვდილი რა არის? როგორი შეგრძნებაა? სიკვდილი შემიძლია?

ვიქტორი არ ინძრევა.

- ოჰ, ფრანკენშტაინ. ჩემს სიბოროტეებს მომიტევებ? გემუდარები, მომიტევე! ვეღარ ვჩერდები, უკვე მორევში ვარ ჩათრეული. მთვარემ ჩამითრია. მარტოსულმა მთვარემ! ჩვენ მხოლოდ წინ შეგვიძლია წასვლა და არასოდეს უკან. - შემოქმედო! დალიე! კარგი ღვინოა. დალიე.

ქმნილება პირში ღვინოს ასხამს. წითელი ღვინო თოვლში ირევა. ქმნილება ტირის.

- მე მხოლოდ შენი სიყვარული მინდოდა. მთელი გულით შეგიყვარებდი. ჩემი საბრალო შემოქმედი.

უეცრად ვიქტორი გონს მოდის.

- შემოქმედო! გიყვარვარ, არა? გიყვარვარ!

ვიქტორი: *(სუსტად)* არ ვიცი სიყვარული რა არის.

ქმნილება: მე გასწავლი!

ვიქტორი: ჰო, ეგ შენ ჩემზე უკეთ გესმის. გამოდის, რომ შენ სული გაქვს, მე კი - არა?

ქმნილება: *(აღტაცებული)* არ ვიცი! ამაზე ვისაუბრებთ!

ვიქტორი: სიყვარულის ყველა შესაძლებლობა დაუფიქრებლად მოვიშორე. ჩემს მიმართ გამოხატულ სითბოს ნაკუწებად ვაქცევდი. მხოლოდ სიძულვილი მესმოდა. არარსებობა, იმედგაცრუება, ყველაფერი დავასრულე... მაგრამ ახალი მიზანი შენ გამიჩინე. თავად ხარ ჩემი მიზანი. წადი, განაგრძე, შენ უნდა განადგურდე.

ქმნილება: კარგი ბიჭი ხარ. აი, ეს უკვე მესმის! ჩემი საცოდავი სიცოცხლის ხაზი უნდა დაასრულო! ადექი! ადექი!

ქმნილება უკან იხევს. ზეადამიანური ძალებით ვიქტორი წამოდგომას ახერხებს. მარხილს მომართავს და ქმნილებას მიჰყვება.

- წამოდი, მეცნიერო! გამანადგურე! გაანადგურე შენი ქმნილება! წამოდი!

ყინულოვან სივრცეში გადიან. ქმნილება ვიქტორის წინ, რომელიც ძლივს მიაბიჯებს, გამართული მიდის.

ფარდა

სარჩევი

სცენა პირველი - 2
სცენა მეორე - 3
სცენა მესამე - 3
სცენა მეოთხე - 4
სცენა მეხუთე - 6
სცენა მეექვსე - 6
სცენა მეშვიდე - 7
სცენა მერვე - 7
სცენა მეცხრე - 7
სცენა მეათე - 10
სცენა მეთერთმეტე - 10
სცენა მეთორმეტე - 10
სცენა მეცამეტე - 13
სცენა მეთოთხმეტე - 14
სცენა მეთხუთმეტე - 15
სცენა მეთექვსმეტე - 16
სცენა მეჩვიდმეტე - 18
სცენა მეთვრამეტე - 20
სცენა მეცხრამეტე - 23
სცენა მეოცე - 23
სცენა ოცდამეერთე - 27
სცენა ოცდამეორე - 28
სცენა ოცდამესამე - 32
სცენა ოცდამეოთხე - 36
სცენა ოცდამეხუთე - 44
სცენა ოცდამეექვსე - 49
სცენა ოცდამეშვიდე - 52
სცენა ოცდამერვე - 54
სცენა ოცდამეცხრე - 63
სცენა ოცდამეათე - 75

ტექსტი ინგლისურიდან თარგმნა სანდრო კახეთელიძემ.

ტექსტში გამოყენებულია ვახტანგ ჭელიძის მიერ თარგმნილი ჯონ მილტონის „დაკარგული სამოთხის“ ციტატები.